№ 132

კვირა, 31 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 132

კვირა, 31 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., ვრცელი განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული დრამის ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 31 ივლისს, დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია წლიური კრება ამხანაგობის წევრთა.

განსახილველი საგნები:

1. ამხანაგობის 1904/5 წ. სეზონის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება,
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. ლიკვიდაცია. (3—3)

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება".
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბექანეიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Тел.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი **ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

პრესსის ზრდა

—

ყოველ ქართველს, პარტიისა და მიმართულების განურჩევლად, სასიამოვნოდ და სანუგეშოდ უნდა მიაჩნდეს ხალხში კითხვის მოთხოვნილების გადიდება და ქართულ პრესსის მნიშვნელობის ზრდა, რომელსაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში. დღეს ქართული გაზეთი შედის ისეთ სოფლებსა და ოჯახებში, სადაც რამდენისამე წლის წინად არც კი იცოდნენ, თუ რა არის გაზეთი და რის გულისთვის იხარჯება მასზე შრომა და ფული.

რა თქმა უნდა, ეს ზრდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა რიცხვისა თავის-თავად ჯერ კიდევ მცირეა, მაგრამ, წინანდელთან შედარებით, მაინც დიდად გვეჩვენება და საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მერმისი ამ მხრით კიდევ უფრო ნაყოფიერი და მეტის წარმატების მომასწავებელი იქნება.

იმ სულის შემხუთველ და აზრ-გონების დამხშველ ატმოსფერაში, რომელშიაც დღემდის მთელი რუსეთი და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა, ძნელი იყო, რასაკვირველია, ბეჭდვითი სიტყვის ნაყოფიერი მოქმედება, პრესსის ზრდა-განვითარება. ამ პირობებსა და გარემოებაში, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ის შედარებით მცირე გონებრივი სიფხიზლეც გასაკვირველია, რაც ჩვენს ხალხს ემჩნევა ამჟამად. ბიუროკრატიული წესწყობილება სისტემატიურად აძინებდა ხალხის შეგნებას, სპობდა ან აბრკოლებდა ყოველგვარ საშუალებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა საზოგადოების ცნობიერების გასაღვიძებლად, აშორებდა ხალხს სწავლა-განათლებას, აფერხებდა ეკონომიურ განვითარებას,—ერთის სიტყვით, აკეთებდა ყველაფერს, რაც ხელს უშლიდა ხალხის განვითარებას და, მაშასადამე, ხელს უშლიდა პრესსის წარმატებასაც. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში პრესსა ვერ განვითარდებოდა, ვერ ამაღლდებოდა და ცხოვრებაში შესაფერ ადგილს ვერ დაიჭერდა.

მაგრამ რეპრესიამ და სიბნელის გამეფებელმა სისტემამ მაინც ვერ გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს ხალხში იმდენმა განათლების შუქმა მაინც შეანათა, რომ ხალხისთვის ბიუროკრატიულ რეჟიმის უვარგისობა დაენახვებინა და მის მოსასპობად აემხედრებინა. საბოლოოდ მაინც ვერ დაიმონა ხალხის ცნობიერება ბიუროკრატიამ, ასე რომ ამჟამად ძველ წესწყობილების აღსასრული დაბდგარია და სიკვდილისაგან მას ვერ იხსნის ვერც დიქტატურა და ვერც წვრილმან რეფორმათა „დათმობის პოლიტიკა". აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრების განახლება, რომელმაც უნდა შექმნას პირობები საერთო სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების დაუბრკოლებელ განვითარებისა.

ამ საერთო განვითარებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია პრესსის ზრდა-განვითარებაც,—მთელის საზოგადოების თავისუფალ განვითარების პირობები აუცილებლად საჭიროა პრესსის განვითარებისთვისაც.

რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების განახლება ნიშნავს წარმომადგენლობითი სისტემის შემოღებას, საპარლამენტო რეჟიმის შექმნას და პოლიტიკურ-მოქალაქობრივ თავისუფლების დამყარებას.

წარმომადგენლობითი სისტემა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა იმას მოასწავებს, რომ სახელმწიფოს საქმეებს, თავის წარმომადგენლების საშუალებით, ხალხი განაგებს. საპარლამენტო რეჟიმთან შეკავშირებულია მუდმივი პოლიტიკური მოძრაობა და საქმიანობა, რომელიც კარჩაკეტილ კანცელარიებში კი არ სწარმოებს, არამედ—საჯაროდ და ყველასთვის დასანახად. ასეთ გარემოებაში გაზეთი ხალხის უპირველეს მოთხოვნილებად ხდება და ამიტომ გაზეთის მკითხველთა რიცხვი დიდად იზრდება.

გაზეთის წაკითხვა, რასაკვირველია, მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც წერა-კითხვა უსწავლია. ბიუროკრატიული რეჟიმი ხალხს სწავლა-განათლებას არ აკარებდა და სიბნელეში სტოვებდა. ახალმა წეს-წყობილებამ სწავლა საყოველთაო და სავალდებულო უნდა გახადოს, როგორც ეს ყველა კულტურულ სახელმწიფოებშია. მაშინ გაზეთს ასი-ათასობით მოემატებიან მკითხველები, რომელნიც დღეს, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, გაზეთსა და საზოგადოდ ყოველგვარ გონებრივ საზრდოს მოკლებულნი არიან.

თუ ბიუროკრატიული წესწყობილება დღეს ეკონომიურ განვითარებასაც აფერხებს, ახალი პოლიტიკური წყობილება დაუბრკოლებელ გზას გაუხსნის ბურჟუაზიულ წარმოებას და აღებ-მიცემობას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ქალაქების ზრდასა და ქალაქურ მღელვარე ცხოვრების გაძლიერებას. და ესეც პრესსის განვითარებისათვის სასარგებლო და ხელის-შემწყობი გარემოებაა. გაზეთს ყოველთვის იქა ჰყავს მეტი მკითხველი, სადაც ხალხი ბლომადაა, ცხოვრება აბობოქრებულია და ადამიანის გონება მუდამ მუშაობაშია.

ამიტომ, როგორც მწერლებმა, ისე მკითხველებმაც, რომელთაც ძვირფასად მიაჩნიათ საერთოდ ხალხის კეთილ-დღეობა და კერძოდ პრესსის განვითარება, ყოველი ღონე უნდა იხმარონ აწინდელ ბიუროკრატიის მალე დასამარცხებლად და თავისუფალ მოქალაქობრივ ცხოვრებისათვის შესაფერ პირობების შესაქმნელად... პრესსა მხოლოდ თავისუფლების ნიადაგზე გაიზრდება და განვითარდება...

* * *

კრებების თავისუფლება ევროპაში

როგორ შეუძლია ექიმს განკურნოს სნეული, თუ არ გამოიკითხა ავადმყოფობის ამბავი?..

როგორ შეუძლიან მთავრობას საზოგადო საქმეების გაძღოლა, თუ ხალხმა არ გამოსთქვა თავისი საჭიროება?

ამ უბრალო ჭეშმარიტებას ივიწყებენ იქ, სადაც სცდილობენ ხალხს სიტყვის, პრესის, კრებების თავისუფლება მოუსპონ, სადაც ხალხის დამუნჯებაზე აგებენ სახელმწიფოს კეთილ-დღეობას...

მთავრობა, სახელმწიფო მოხელეები, მთელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის რთული მანქანა ხალხისთვის არსებობს, ხალხი ჰკვებავს მას, შრომობს და ოფლით მოგებულ ფულს გადასახადის სახით ხაზინაში იძლევა ამ მოხელეების შესანახავად, ამ რთულ მანქანის ასამოძრავებლად.

ამიტომ ცხადია, რომ მასვე უნდა ეკითხებოდეს ამ ფულის დახარჯვა. მმართველი წრეები ხალხის სურვილებს უყურადღებოდ ვერ დასტოვებენ იმიტომ, რომ ხალხის აბუჩად აგდება გამოიწვევს განხეთქილებას და ამ განხეთქილებაში კი ყოველთვის გამარჯვებული დარჩება ხალხი, ვინაიდან ხალხზეა აგებული სახელმწიფო წესწყოფილება და ამ წესწყობილებაში მმართველი წრეები მხოლოდ ადვილად გამოსაცვლელი ზედნაშენია.

მაგრამ როგორ უნდა გამოსთქვას ხალხმა თავისი სურვილი, თუ მას მოსპობილი [illegible] ლაპარაკის, შეკრების თავისუფლება, დამუნჯებულმა, თუ მხოლოდ შორიდან შესძლო ბიუროკრატიისაგან ჩადენილ ათასგვარ ძალმომრეობის ყურება!?.

ამიტომ ყველგან, სადაც გამოფხიზლებულმა ხალხმა მაზე გაბატონებულ ბიუროკრატიის ჩამოშორება ისურვა, სიტყვის, პრესის და კრებების თავისუფლების მოპოვება ბრძოლის საგნად შეიქმნა ყველგან. ბიუროკრატია, ამ გამოფხიზლებით შეშინებული, სცდილობდა, რასაკვირველია, ბატონობის შერჩენას და ათასობით აგდებდა ციხეში იმათ, ვინც ბედავდა თავისუფალ ლაპარაკს, თავისუფალ წერას, საზოგადო საქმეებზე მოსალაპარაკებლად თავისუფლადვე შეკრებას... ბიუროკრატია ებრძოდა ხალხს, ხალხი თავის ძირითად უფლებებს იცავდა,—ამ ბრძოლაში ყველგან ხალხი დარჩა გამარჯვებული!..

ინგლისში 1768 წლის არჩევნების შემდეგ მთავრობამ ერთი დეპუტატი,—უილქსი, გადააყენა იმისთვის, რომ მან გაბედა სეფე-სიტყვის საწინააღმდეგო აზრების გამოთქმა, მაგრამ ხალხმა მხარი დაუჭირა თავის არჩეულს, ინგლისის ყველა კუთხეში იმართებოდა საჯარო კრებები, ყველგან ხალხი უილქსის დაბრუნებას ითხოვდა და ბოლოს მთავრობაც შეიქმნა იძულებული ხალხისაგან აშკარად გამოთქმული სურვილი შეესრულებინა და უილქსი პარლამენტში შევიდა. აქ მთავრობამ დაუთმო საზოგადოებას.

მაგრამ როდესაც ხალხმა არსებულ საარჩევნო სისტემის შეცვლა ითხოვა, იმ სისტემისა, რომელიც მთავრობას აბატონებდა არჩევნების დროს სახელმწიფოში, მაშინ კი დათმობა ასეთივე ადვილი არ იყო, და ხალხის „ასალაგმავად", „პროპაგანდის" მოსასპობად, 1799 წელს გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ყველა „საეჭვო" საზოგადოება იხურებოდა და ყველა ამგვარ საზოგადოებებში მონაწილეობის მიღებაც ისჯებოდა სასტიკად...

მაგრამ სისასტიკემ ხალხი ვერ შეაშინა. ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, განსაკუთრებით 1876 წ., გამწვავდა, როდესაც შიმშილისაგან შეწუხებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა და გაიძახოდა: „პური ან სისხლიო", როდესაც პარლამენტი ხალხის გაჭირვებას ყურადღებასაც არ აქცევდა და ასი ათასობით ხარჯავდა ფულს მეფის საქორწილოდ... ხალხი აღელდა! „ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ ხალხს მხოლოდ საკუთარ ძალღონის იმედი უნდა ჰქონდესო, მან ძალით უნდა მოიპოვოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში, ხალხს უნდა ახსოვდეს, რომ მისი მონაწილეობა ამ საქმეებში აუცილებელია და საჭიროც ხალხის საკეთილდღეოდ". ამას ითხოვდა ხალხი, ათასი მიტინგი იმართებოდა ამ აზრის გამოსათქმელად, ხალხი ერთიანდებოდა, ძალას იძენდა საერთო ბრძოლისათვის.

ბრძოლა შეიქმნა უფრო ძლიერი მაშინ, როდესაც მთავრობამ, მიტინგებზე მოგროვილ ხალხის გასაფანტავად, ძალა იხმარა და 1878 წ. ჯარებმა ესროლეს კრებას...

რას არ ეცადა მთავრობა,—სიკვდილით დასჯასაც ემუქრებოდა ყველას, ვინც მის საწინააღმდეგო კრებას დაესწრებოდა!.. მაგრამ ხალხი ხომ ბორკილ ასხმული მონა არ იყო, რომ დამორჩილებოდა მტარვალის ძალმომრეობას,—მთავრობის მუქარა მხოლოდ აორკეცებდა ხალხში ბრძოლის სურვილს... ხალხი ისევ ძველებურად იკრიბებოდა, მსჯელობდა, ამ კრებებზე სხვადასხვა მიმართულების ხალხი ერთდებოდა საერთო მტრის დასამარცხებლად...

ბოლოს მთავრობამ დაინახა, რომ მას არ შეუძლიან გაუმკლავდეს მთელ ხალხს, რომ ბრძოლის განგრძობას შეიძლება მოჰყვეს თვით მთავრობის გადაყენება და მისი დასჯა უკანონო მოქმედებისთვის,—ამიტომ დაუთმო ხალხს და მიანიჭა კრებების თავისუფლება, მიანიჭა ძალაუნებურად, მიანიჭა იმიტომ, რომ დღეს ან ხვალ ხალხი თვითონ დაისაკუთრებდა ძალით კრებების თავისუფლებას.

„ხალხს უფლება აქვს შეიკრიბოს სხვადასხვა საქმეზე მოსალაპარაკებლად,—ამბობს როსსელი—ხალხს უფლება აქვს გამოუცხადოს უკმაყოფილობა მთავრობას, რომ გააგებინოს თავისი საჭიროება და შემდეგ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებაც მოსთხოვოს. მხოლოდ რაიმე ბოროტ-მოქმედების ჩამდენ მთავრობას ჰქონია რაღაცა დასამალავი და ამიტომ ეშინიან თავისუფლებისა"ო.

თავისუფლების მინიჭებამ არ დააქცია ინგლისი!.. კრებების თავისუფლებამ დამონებულსა და დაჩაგრულ ხალხს თავის უკმაყოფილების გამოსათქმელად საშუალება მისცა და ამითი მოსპო აჯანყება და ძალმომრეობა. ხალხი კლუბებში პოლიტიკურად იზრდება, მწიფდება, ეჩვევა სახელმწიფო საქმეების გაგებას...

საფრანგეთში აბსოლუტიზმი,—ბიუროკრატიის მომაკვდინებელი ბატონობა, რომელსაც საზოგადო ცხოვრების იდეალად ხალხის სალათა ძილი აქვს დასახული,—ეს აბსოლუტიზმი ხალხის საერთო კრებების წინააღმდეგი იყო [illegible] თავის ძლიერობის დროს, და მაშინაც, როდესაც ხალხი უკვე გამარჯვებული იყო და აბსოლუტიზმს სიცოცხლეს უსპობდა.

მართალია, 1789 წელში გამოცემული რევოლუციის ცნობილი დეკლარაცია აცხადებდა საყოველთაოდ, რომ ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება არის შეკრების უფლება, მაგრამ საუკუნოების განმავლობაში განუწყვეტელი მონობით ისეთი მოჩლუნგებული ჰქონდა ხალხს თავისუფლების გრძნობა, ისე ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი მონობა, რომ მან ვერ ისარგებლა ამ უფლებით და ვერ მოიპოვა კრებების სრული თავისუფლება. ცენტრალისტური წესწყობილება ხელს არ უწყობდა კრებების თავისუფლებას, უნიტარული აზროვნება სპობდა ყოველგვარ სხვადასხვაობას. მხოლოდ 1901 წელს, გამოიცა კანონი რომელიც შეკავშირების თავისუფლებას ანიჭებდა საფრანგეთს!

ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც შემოვიდა თანდათან კრებებისა და კავშირების თავისუფლება, შემოვიდა დამონებულ კლასების მოთხოვნით, მათ მედგარ და გამუდმებულ ბრძოლის შედეგად.

კრებების თავისუფლება. მოლაპარაკების თავისუფლება,—დიადი უფლებაა, ურომლისოდაც არ შეიძლება ხალხის თანდათანი განვითარება...

ხალხი ბატონია სახელმწიფოში, და ბატონისაგან საქმეზე დაყენებულ ბიუროკრატიას არ შეუძლია სამუდამოდ ჩამოიშოროს ბატონი და თვითონ გაბატონდეს სახელმწიფოში... დასავლეთ ევროპაში ყველგან, სადაც ბიუროკრატიამ ბატონობა ისურვა, ხალხი ამხედრებულა, მოუთხოვია კრებების, სიტყვის, შეკავშირების თავისუფლება, ყველგან ხალხს მედგარის ბრძოლის შემდეგ დაუმარცხებია ბიუროკრატია და გამხდარა ბატონად სახელმწიფოში...

—*

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

29 ივლისი.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. რუზველტსა, მორგანსა და ჩინეთის ელჩს მოლაპარაკება აქვთ ხანკოუნის გზის შესახებ. ჩინეთი წინადადებას იძლევა შეისყიდონ კონცესია ექვს მილიონად, მორგანი არ თანხმდება. რუზველტი ურჩევს მორგანს, მიიღოს ჩინეთის წინადადება, რომ ამით მოისპოს ამერიკულ საქონელზე ბოიკოტი.

ვილნა, 28 ივლისი. ვილნას ახლოს შეიპყრეს ოცის წლის უცნობი ქალი. გაჩხრეკის დროს ქალს უპოვნეს იაპონელ აგიტრის სურათი და პროკლამაციები.

ვარშავა, 29 ივლისი. ობერ-პოლიცმეისტერი აცხადებს, სახლის პატრონნი, რომელნიც ახალ მდგმურების შესახებ პოლიციას ერთის დღე-ღამის განმავლობაში ცნობებს არ მისცემს და ვინც სხვის სახელს დაირქმევს, დაისჯებიან 500 მან. ჯარიმით, ან სამის თვით ციხეში დაპატიმრებით.

სიმბირსკი, 29 ივლისი. ერობის კრებამ უარჰყო ინტენდანტსტვოს ხორბლის ჩაბარების შესახებ მოხსენება და, დაადგინა უჩივლოს ინტენდანტსტვოს რადგან იმან იანვარში მიიღო ფქვილის ფასი, რომელიც ერობამ დაასახელა, შემდეგ კი ფასზე უარი განაცხადა.

ტოკიო, 29 ივლისი. ჩინეთში დიდი უწესოება ხდება. როგორც პეკინიდან იუწყებიან, ხოხაში ჩინეთის ბრბომ დახოცა 12 კათოლიკე და დასწვა მრავალი ფრანგი მისიონერი.

თეირანი, 29 ივლისი. კერმანში უწესოებანი ხდება. „სულდის მოდის" მეჯამედ რიზის ქადაგებით მცხოვრებნი ხოცავენ შეიხის სექტის წარმომადგენლებს. მოდას მეშხედიდან გააძევებენ.

კიევი, 29 ივლისი. უნივერსიტეტში შეტანილია ათასზე მეტი თხოვნა მეორე კურსზე გამოუცდელად გადაყვანის შესახებ.

ბერლინი, 29 ივლისი. გერმანიის სამხრეთისა და დასავლეთის ოლქებს ქარიშხალმა რამდენიმე მილიონის ზარალი მისცა. ლოტარინგიაში ბევრს ადგილას მოსავალი ერთიანად გაანადგურა, სასოფლოები დააქცია, დაშავებულია მრავალი, არიან მოკლულებიც.

ყაზანი, 29 ივლისი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ პენკინის საქმის გამო შემდგარი კომისია გაუქმებულ იქმნას და პეტერბურგის ლომბარდის საქმეები პენკინის საქმეებს შეუერთონ.

ნოვოროსიისკი, 29 ივლისი. ნავთსადგურში მუშაობა დაიწყეს.

რიგა, 29 ივლისი. რიგის სპოლიტექნიკო ინსტიტუტში აუარებელი თხოვნები შეაქვთ. სწავლა ჩვეულებრივ ვადაზე დაიწყება.

ბერლინი, 29 ივლისი. იმპერატორი ვილჰელმი და ინგლისის მეფე ერთმანეთს ფრანკფურტის მახლობლად ინახულებენ. შეხვედრის დღე ჯერ აღნიშნული არ არის.

ლონდონი, 29 ივლისი. სეფე სიტყვა ურჩევს პარლამენტს კეთილ-განწყობილობის დაცვას, იხსენიებს ესპანიის მეფის ინგლისში სადარბაზოდ მოსვლის განზრახვას, ახსენებს რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებას, რომელიც, მეფის აზრით, მკვიდრს, შეურყეველს მშვიდობიანობას დაამყარებსო; მოხსენებულია მაროკოს კონფერენცია, შვეც-ნორვეგიის კავშირის გაწყვეტა, მაკედონიაში საქმის გამწვავება და კრიტოსზე არეულობა. მოხსენებულია აგრეთვე ავღანისტანთან განსვენებულ ემირთან დადებული ხელშეკრულობა და ტრანსვაალის თვითმართველობა.

ოსტროგოჟსკი, 29 ივლისი. ხარკოვის სამოსამართლო პალატამ კნეინა იუსუპოვის მამულის აკლების საქმის გარჩევა დაასრულა. 15 კაცი გაამართლა, 1—ერთის წლით დატუსაღება გადაუწყვიტა, 1—რვა თვით, 4—ორ-ორის თვით, 5—წელიწად-ნახევრით პატიმართა როტა, ხოლო 32-ს—უფლებათა ჩამორთმევით რვა-რვა თვე სატუსაღოში დაპატიმრება.

პეტერბურგი, 29 ივლისი. ის ხმები, ვითომც ხალხის წარმომადგენლების მოწვევის აქტს 30 ივლისს გამოაცხადებენო—ტყუილი გამოდგა. მისი გამოცხადება ცოტა შეაგვიანებს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

29 ივლისი

ტოკიო, 27 ივლისი, სახალინიდან ყოველ დღე დატყვევებულები და დაჭრილები მოჰყავთ. ბევრს იაპონელს სახალინზე წასვლის ნება-რთვა უთხოვნია. რუსებმა საიმპერატორო ნავთ-სადგური დასტოვეს. იაპონიის მთავრობამ სახალინის ნაპირებთან თევზაობაზე საჯარო ვაჭრობა გამოაცხადა.

პორტსმუტი, 28 ივლისი. იაპონიის მოთხოვნილებანი, რომლებიც იმ პირობით წარადგინეს, რომ არ გამოექვეყნებინათ, ისეთი არ არის, რომ საბოლოო შეთანხმებას ხელი შეუშალოს. იაპონელები პირდაპირ არ შეჰკითხებიან, მიიღებენ, თუ არა მათს წინადადებას. ფიქრობენ, საქმე კეთილად დაბოლოვდება, რადგანაც რუსები დაჰპირდნენ, პასუხს 48 საათის განმავლობაში მოგცემთო.

პარიზი, 29 ივლისი. მურავიოვს, „გელუა"-ს რედაქტორთან ბაასის დროს, განუცხადებია, რუსეთს რწმუნებული კარგი ჰყავს და, თუ ზავი მაინც არ შეიკრა, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ იაპონელების მოთხოვნილებანი, მართლაც, ძალიან დიდი უნდა იყოსო. მურავიოვს უნდა ზავის ჩამოგდება, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ რუსეთი, როგორც ძლიერი სახელმწიფო, დამამცირებელ პირობებზე ვერასოდეს ვერ დასთანხმდებაო.

პარიზი, 29 ივლისი. ოფიციალურ სხდომის გათავების შემდეგ, ვიტტე კონფერენციის სადგომში დარჩა, იქ ისაუზმა და იაპონელების მოთხოვნილებათა განსახილველად თავისი მრჩევლები და ექსპერტები მოიწვია. რუსეთის მისსიის წევრები დარბაზიდან მხოლოდ საღამოს 7 საათზე წავიდნენ. რუსეთის რწმუნებულებმა გადასწყვიტეს, ზავის პირობები პრესსაში არ გამოაქვეყნონ. პორტსმუტში მყოფ ერთ რუსს „მატენის" კორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპონდენტისათვის უთქვამს: მოლაპარაკებიდან ცუდი შთაბეჭდილება გამოვიტანე და, მგონია, ძალიან გაგრძელდებაო. კონტრიბუციის შესახებ იაპონია თხოულობს, რომ რუსეთი ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალურად დასთანხმდეს. „მატენის“ კორესპონდენტი იუწყება: გუშინდელ სხდომის დაწყების დროს, ვიტტემ კომურას დიპლომატიური ნოტა გადასცა, პირველ სხდომაზე მომხდარ ინციდენტის გამო, როდესაც კომურამ თავის რწმუნებულობის საბუთები არ მოიტანა. ვიტტე ერთავად იმის მტკიცებაშია, რომ იაპონელების საქციელი დიპლომატიურ ჩვეულებას არ ეთანხმებაო.

ნიუ-კესტლი, 28 ივლისი. «დეილი ტელეგრაფი». ვიტტემ და როზენმა დანამდვილებით გაიგეს, რომ, მიკადოს ბრძანებით, ყოველგვარი შეთანხმება, რომელიც კი რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთა შუა მოხდება, მას უნდა წარედგინოს ხოლმე. ამიტომ სხდომაზე ვიტტემ, დღეს დილით, კომურას გამოუცხადა, რომ ისინიც უარს ამბობენ იმ უფლებაზე, რომელიც მათ მიანიჭეს, ე. ი. მის უდიდებულესობის ნებადაურთველად ზავის პირობებზე ხელს არ მოაწერენ. 28 ივლისს, დილის 10 საათზე, მოლაპარაკება დაიწყო. რადგანაც რწმუნებულების საბუთები დამაკმაყოფილებლად იცნეს, ვიტტემა და კომურამ განაცხადეს, უკვე შესაძლებელია მუშაობის დაწყებაო. ვიტტე ფრანგულად ლაპარაკობდა, კომურა კი—იაპონურად. ვიტტემ რომ ეს დაინახა, თვითონაც რუსულად დაიწყო ლაპარაკი. კომურამ სთქვა: „მაქვს პატივი გადმოგცეთ მოთხოვნილებანი, რომლებიც მიკადომ, მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ, კეთილ ინება და ჩამაბარაო. ვიტტემ გამოართვა დოკუმენტები, რომლებიც ფრანგულ და იაპონურ ენებზე იყო დაწერილი, და განაცხადა: განხილვის შემდეგ, წერილობით პასუხს მოგცემთო“.

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. „დეილი ქრონიკლის“ ცნობებით, იაპონელების მოთხოვნილებანი შემდეგია: სახალინისა და ხარბინიდან პორტ-არტურამდე რკინის გზის დათმობა, მანჯურიის ევაკუაცია, აღიარება იაპონელების უპირატესობისა კორეაში, მანჯურიაში თავისუფალ ვაჭრობის პრინციპის აღიარება, დათმობა იმ ცემებისა, რომლებიც შანჰაიში, ფილიპისა და სანფრანცისკოს კუნძულებთან იმყოფება. რუსების პასუხს 3—4 დღეზე მოელიან.

პორტსმუტი, 28 ივლისი. იაპონიის რწმუნებულებმა წარუდგინეს რუსებს ზავის პირობები. კონფერენციის სხდომა გადიდო, რათა რუსის დელეგატებს შეძლება მისცენ, კარგად გაეცნონ იაპონიის მოთხოვნილებებს. ჰფიქრობენ, წერილობით პასუხს ვიტტე იაპონელებს არ დაუგვიანებსო. ირწმუნებიან, რომ ვიტტემ ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა მიიღო, რომლითაც ვიტტეს დამამცირებელ პირობებზე დათანხმება ეკრძალება, რადგან რუსებს, ამჟამად, ომის განგრძობა სურთო.

ნიუ-კესტლი, 28 ივლისი. კონფერენციაში მონაწილეობას იღებს ხუთ-ხუთი დელეგატი. იტალიელთა სამხედრო ორკესტრს, რომელიც უკრავს იმ სასტუმროში, სადაც რწმუნებულნი სცხოვრებენ, შტატების მთავრობამ სადგომი ოთხის თვით დაუქირავა, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ კონფერენციის სხდომები დიდს ხანს გასტანს.

პორტსმუტი, 29 ივლისი. ვიტტემა და როზენმა, როგორც კი განიხილეს ზავის პირობები, რუსის დელეგატებს ავტომობილი გაუგზავნეს. საუზმის შემდეგ რწმუნებულებმა და დელეგატებმა განიხილეს პირობები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოლაპარაკებას სასურველი შედეგი მოჰყვება

პორტსმუტი, 29 ივლისი. იაპონელების-მიერ შემუშავებულ პირობებით, ხარბინსა და ვლადივოსტოკს შუა რკინის გზა რუსების მფლობელობაში რჩება.

პორტსმუტი, 29 ივლისი. იაპონელების-მიერ წარმოყენებულ ზავის პირობების შესახებ რუსეთის რწმუნებულთა პასუხი ფაქტიურად უკვე მზად არის. ხვალ იმას ბარონ კომურას ჩააბარებენ. ვიტტე დილიდანვე ადრე მუშაობას ეკიდება და მდივნებთან ერთად პეტერბურგიდან მოსულ შიფრიან დეპეშებს არჩევს.

ბერლინი, 29 ივლისი. აქაური გაზეთები იაპონელების-მიერ წარმოყენებულ ზავის პირობებს არჩევენ და ამბობენ, ამ პირობებში გადაჭარბებული არა არის-რაო.

პორტსმუტი, 29 ივლისი. თავიანთი მინდობილებანი იაპონელებს ჯერ არ წარმოუდგენიათ. ამ მინდობილობათა ინგლისურ ენაზე დაწერილი ასლი ვიტტეს ოთხშაბათს გადასცეს, მაგრამ ხელ-მოუწერელი იყო. გუშინ იაპონელებმა წარადგინეს ამ ქაღალდის ოფიციალური პირი იაპონურ ენაზე, რომელიც ვერც ერთმა რუსმა ვერ გადასთარგმნა. ამის შემდეგ ქაღალდი კომურას დაუბრუნეს და უთხრეს, ჩვენ ველით ხელმოწერილსა და გადათარგმნილს პირსაო. ვიტტეს დღევანდლამდე არავითარი ასლი არ მიუღია.

პორტსმუტი, 29 ივლისი. უმთავრესი მოთხოვნილებანი:—კონტრიბუცია და სახალინის დათმობაა. რუსეთის რწმუნებულთ შეუსაბასოდ დაინახეს ასეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუმცა ის გარემოება, რომ სიტყვა „კონტრიბუცია“ (იდომნიტე) „ხარჯით“ (რემბურეემანტი) არის შეცვლილი, შეთანხმებას გზას უხსნისო.—სხვა მოთხოვნილებანი: ლიაოდუნზე საიჯარო უფლებისა, პორტ არტურისა და დალნის დათმობა, მანჯურიიდან ჯარის გაყვანა; თხოულობენ აგრეთვე, რომ რუსეთის-მიერ მანჯურიაში მითვისებული უპირატესობა ჩინეთს დაუბრუნდეს, მანჯურია ყველასთვის ღია იყოს, იაპონიას დაეთმოს მანჯურიის რკინის გზა ხარბინიდან, ვლადივოსტოკის ზემოდ რუსეთის წყლებში იაპონელებს უფლება ჰქონდეთ თევზაობისა, იაპონია უარს აცხადებს რუსეთის იმ სამხედრო გემებზე, რომლებიც [illegible] თხოულობენ აგრეთვე—რუსეთის საზღვაო სამხედრო ძალის შემცირებას შორეულ აღმოსავლეთში. რწმუნებულთ დაადგინეს, რომ ყველა ოფიციალური ცნობა ოქმში იწერებოდეს. რუსეთის დელეგაციის მდივნებმა შიფრიანის დეპეშებით პეტერბურგში აცნობეს იაპონიის მოთხოვნილებანი. როდესაც კომურამ ვიტტესა და როზენს ზავის პირობები გადასცა, თან დაუმატა, პირობები ზომიერია და თათბირის დაწყებას ხელს შეუწყობსო. ვიტტემ გრძელის სიტყვით უპასუხა და სთქვა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მკვიდრი ზავი დამყარდებაო.

პორტსმუტი, 29 ივლისი. რაკი ზავის პირობები მიიღეს, რუსეთის ყველა დელეგატები შეიკრიბნენ და მთელი საღამო მის განხილვას მოანდომეს, ვიტტე და როზენი გუშინ სადილად სახელმწიფო მდივნის ამხანაგ პრისთან იყვნენ. იაპონელთა მოთხოვნილებანი და დოკუმენტები, ინგლისურად და ფრანგულად ნაწერი, ვიტტეს თეთრის პაპკით გადასცეს. ვიტტემ აღნიშნა ის საბუთები, რამაც ომი გამოიწვია. არსენალში, საუზმის დროს, ვიტტე და კომურა ერთად ისხდნენ მრგვალ მაგიდასთან. მათი დამოკიდებულება მეტის-მეტად გულ-თბილია, რაც წინად არ ეტყობოდათ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინის დაპყრობა. ივლისს შუა რიცხვებში იაპონელებმა სახალინი საბოლოოდ დაიპყრეს. 11 ივლისს ადმირალ კატაოკას ესკადრა ალექსანდროვსკის პოსტის მახლობლად გაჩერდა, ნაპირზე მდგომ რუსებს ზარბაზნები დაუშინა, გარეკა და ნაპირებზე ჯარი გადმოსხა. იაპონელებმა არც კი შეისვენეს უკან წამოსულ რუსებს ფეხდაფეხ დაედევნენ და საღამო ჟამს ალექსანდროვსკს მოადგნენ. აქ გენერალმა ლიაპუნოვმა 3 ბატალიონით, ერთის ბატარეით და, კატორღელებისგან შედგენილ, რამდენისამე რაზმით იაპონელებს წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ უნაყოფოდ. იაპონელთა გემებმა სწრაფად ჩააჩუმეს ნაპირზე ჩამომწკრივებული რუსეთის ზარბაზნები, ალექსანდროვსკის სამხრეთით ჯარი გადმოსხეს და გენ. ლიაპუნოვის მარცხენა ფრთეს გვერდიდან მოუარეს. გენ. ლიაპუნოვი დამარცხდა: ალექსანდროვსკი და 200 ტყე იაპონელებს დაუტოვა და სახალინის შუაგულისკენ დაიწია. იმავე დღეს იაპონელებმა ამურის შესართავის პირდაპირ სახალინზე კიდევ გადასხეს ჯარი და სახალინზე მყოფ ჯარს გზა მოუჭრეს. 12 ივლისს იაპონელებმა რუსებს სიმაგრე დუეცი წაართვეს და სახალინის მთელი ნაპირები ხელში ჩაიგდეს. რუსებმა სოფელ რიკოვსკისკენ დაიწიეს. 14 ივლისს იაპონელები ისევ წამოეწივნენ და რუსებს მიესივნენ. გენ. ლიაპუნოვმა მთელი თავისი ჯარი შეაგროვა (5000 კაცი, 8 ზარბაზანი და 4 ტყვიის მფრქვეველი). ბრძოლა მეორე დღეს გათავდა. იაპონელებმა საშინლად დაამარცხეს რუსები, 200 კაცი მოუკლეს, 800 დაუჭრეს, 500 ტყვედ წაიყვანეს და თვითონ გენერალი ლიაპუნოვიც ხელში ჩაიგდეს. იაპონელებმა სდი[illegible] 16 [illegible] ხან-მოკლე ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ, რიკოვსკოეც აიღეს. 17 ივლსს სახალინის არმიის უფროსმა, გენერალმა ხარაგუჩიმ, ოფიციალურად გამოაცხადა: სახალინი იაპონიას ეკუთვნის და ამიერიდან იაპონიის მთავრობა იქნება მისი მმართველიო.

იაპონელები სახალინის დაპყრობას სულ 22 დღეს მოუნდნენ და ძალიან იაფადაც დაუჯდათ. იაპონელებმა ბლომა ჯარი გადასხეს სახალინზე, რაიც იმას ამტკიცებს, რომ, თუ ზავი არ ჩამოვარდა, ამურის დაპყრობას უნდა შეუდგნენ. იაპონელებმა სახალინზე სულ ორი დივიზია 30,000 კაცი) გადასხეს: მე-7—გენ. ტაკენაუჩისა და მე-4—გენ. ოკისა. სახალინის დასაპყრობად იაპონელებს ნახევარი დივიზიაც ეყოფოდათ. ცხადია, რომ მომავალში სახალინი ბაზად უნდა გაიხადოს გენ. ხარაგუჩის არმიამ, რომელსაც ამურის ოლქის დაპყრობა აქვს მინდობილი. (რ. ვ.).

სახალინის დამცველ ჯარის დატყვევება. „ბერლ. ლოკალ ანცეიგერ“-ის კორესპონდენტი ტოკიოდან დეპეშით იუწყება: 17 ივლისს გენ. ლიაპუნოვმა, — სახალინის სამხედრო გუბერნატორმა,—იაპონიის ჯარის უფროსს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა, ამას იქით წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფოდ და მეტად მიაჩნია და გთხოვთ, ბრძოლა შესწყვიტოთო. იაპონელებმა რუსებს სამხედრო სურსათი, რუკები და პლანები მოსთხოვეს. რუსებმა ეს მოთხოვნილებანი დაუყოვნებლივ შეასრულეს და მეორე დღესვე ყველაფერი იაპონელებს ჩააბარეს და თვითონაც დანებდნენ. იაპონელებმა ტყვედ წაიყვანეს 3200 სალდათი, 70 აფიცერი და გენერალ-ლეიტენანტი ლიაპუნოვი—სახალინის დამცველ ჯარის უფროსი (რ. ს.).

მანჯურიაში. „რუსს“ ბრძოლის ველიდან დეპეშით ატყობინებენ: რუსეთის ჯარის წინააღმდეგ იაპონელებმა თავი მოუყარეს 430 ათას სალდათსა და 1600 ზარბაზანს. აქ ნაანგარიშევი არ არის გენ. ხასეგავას არმია და ორი დივიზია, რომლის დანიშნულებაც არ იციან. აღარ სწვიმს. გზები შრება (რ. ს.).

„რუსსკოე სლოვოს“ საკუთარი კორესპონდენტი ნოვოსილცევი ბრძოლის ველიდან დეპეშით იუწყება: მარშალმა ოიამამ მთელი ფრონტი საუცხოვოდ გაამაგრა. ყველა სიმაგრეებს ერთმანეთთან მისასვლელი გზები აქვს. ზოგიერთ ადგილას სიმაგრეები სიგანით ორის დღის სავალზეა გაკეთებული. ამბობენ, მარშალი ოიამა თვითონ არ მოიტანს იერიშს და ისევ რუსებს დაუთმობს პირველობასაო. შეიძლება, ეს მართალიც იყოს, მაგრამ, ცხადია, რომ თუ რუსები მიესივნენ პირველად, იაპონელები მაგრად მოიკიდებენ ფეხს თავიანთ სიმაგრეებზე, ცოტა ხანს დაალევინ რუსებს და მერე თვითონვე წამოვლენ იერიშითაო. ერთის სიტყვით, სწორედ ისე მოიქცევიან, როგორც მდინარე, შახეზე მოიქცნენ სექტემბერში. იაპონიის ჯარი წინსვლაზეა აღზრდილი. იაპონელი გენერლები იერიშების დროსაც და მოგერებისასაც ყოველთვის იმასა ცდილობენ, რომ თავისუფლად იმოძრაონ, თავისუფლად იმოქმედონ და ამ მხრით პირველობა მოწინააღმდეგეს არდაუთმონო (რ. ს.).

ახალი ამბავი

ახლად დანიშნულ საქართველოს ეგზარხოსს **ნიკოლოოზს შემდეგი წესით უნდა დაუხვდნენ:** ტფილისის რკინის გზის სადგურზე მას მიეგებებიან: ტფილისის გუბერნატორის მოადგილე, კომენდანტი, ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავი და პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი. სადგურიდან ეგზარხოსი საგანგებო კარეტით გაემგზავრება სიონის ტაძარში. წინ გაუძღვება პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი. საპატიო დარაჯად დანიშნულია საველე ჟანდარმთა ერთი ეზვოდი და ნამესტნიკის ცხენოსანი დარაჯნი. სიონის ტაძარში მიწვეულნი არიან ნამესტნიკის თანაშემწენი, გენერლობა, შტაბ-აფიცრები და სამოქალაქო დაწესებულებათა მოხელენი, რომელთაც VI კლასის ჩინი აქვთ. ტაძარის ახლო გამწკრივებულ იქმნებიან ხელოსანთა ამქრები, შესაფერის დროშებით. სიონის ტაძარიდან ეგზარხოსი ლიტანიით გაემგზავრება ეგზარხოსის კარის ეკლესიაში. ამ დროს სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი შეიკრიბებიან ეგზარხოსის სასახლის დარბაზში, სადაც ნამესტნიკის თანაშემწენი წარუდგენენ ეგზარხოსს სამოქალაქო და სამხედრო ცენტრალურ დაწესებულებათა მოხელეებს, სხვა დაწესებულებათა მოხელეებს კი წარუდგენენ გუბერნატორი და კამენდანტი.

◆ ამას წინად უწმინდეს სინოდს უბრძანებია **საქართველოს სინოდ. კანტორისათვის, ნება მიეცით მხატვარს პოლტორაცკის** დაიაროს ხობისა, შემოქმედისა, ჯუმათისა, მარტვილისა და გელათის მონასტრები, გასინჯოს ძვირფასი ხატები და საზოგადოდ ყველა ძველი ისტორიული ნაშთები, რომ სურათები გადაიღოსო. ამ რამდენისამე წლის წინად ასეთივე უფლება მისცეს მხატვარ—ფოტოგრაფს ბ ნ საბინ-გუსსა (სამოცდაათიან წლებში); ამ ვაჟბატონმა დაიარა დასავლეთ საქართველოს მონასტრები, წაიღო ძვირფასი ხატები იმ პირობით, რომ შევაკეთებ და უკანვე დავაბრუნებო; წაიღო აგრეთვე ჯართი (ნამტვრევი) ოქრო-ვერცხლი, ხატებს მოვახმარებო. თუმცა ბარათებიც დასტოვა ხატებისა და ოქრო-ვერცხლის მიღებისა, მაგრამ დღესაც არ დაუბრუნებია. დაბრუნების მაგიერ, მთხოვნელებს საბიაბრო პასუხი გასცა.

◆ „ჩერნ. ვესტ“.-ის სიტყვით, **ბათუმში როტშილდისა და მანთაშევის ქარხნებში მუშაობა 1 სექტემბრიდან დაიწყება.**

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, ბათუმში რუსეთ-ჩინეთის ბანკის **მოდარაჯე ჯარის-კაცებისათვის ვილაცებს მოუპარავთ თოფები.** დამნაშავენი ვერ აღმოუჩენიათ.

◆ როგორც „ბაქო“ გადმოგვცემს, კავკასიის რკინის გზის გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს გზათა სამინისტროში, მიეცეს მას სესხად 50,000 მანათი **მუშათა უკანასკნელ გაფიცვის დროს მომუშავე მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად.**

◆ ქართლ-კახეთის ბლაღოჩინები ჯეოაც კიდევ არ იღებენ საქმის ქაღალდებს ეგზარხოსის კანცელარიიდან და საქართველოს სინოდალურ კანტორიდან. ზედწარწერით გაუხსნელ პაკეტებს უკანვე აბრუნებენ. **აღარ გვსურს ბლაღოჩინობა, ქაღალდებს ნუღარ გვიგზავნითო.**

◆ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას დაუდგენია, ახლად დანიშნულ ეგზარხოსს **მიართვან ადრესი,** რომელშიაც აწერილი იქნება აწინდელი მდგომარეობა სამღვდელოებისა.

◆ 29 ივლისს, ღამის 2 საათზე, მეცხრე საპოლიციო უბანში, გერმანელთა სასაფლაოსთან

ფელეტონი

რა არის კრიტიკა

(კრიტიკა წარსულში.—რა არის პოეზია.—შემოქმედება)

გავიცნოთ მოკლედ კრიტიკის ისტორია და თვალი გადავავლოთ, თუ როგორ უყურებდნენ მწერლობის ამ დარგს კრიტიკის საუკეთესო წარმომადგენლები წარსულში.

როდესაც ცოდნის ან ხელოვნების რომელიმე დარგი განვითარების საკმაო საფეხურს მიაღწევს, თავის-თავად მის ახსნის სურვილი ებადება ადამიანს. იქ, სადაც პოეზია საკმაოდ განვითარდა, ადრე თუ გვიან, ლიტერატურული კრიტიკაც უნდა განვითარებულიყო. ისტორიულის საზომით რომ ვიხელმძღვანელოთ, ძველ საბერძნეთის პოეზია დღევანდელ ევროპის პოეზიას არაფერში არ ჩამოუვარდება, ევროპამ ვერც ერთი დრამატურგი ვერ მოგვცა, რომელიც ძველ საბერძნეთის სოფოკლზე უფრო მაღლა იდგეს.

იქ, სადაც ამდენად განვითარებული იყო პოეზიის საუკეთესო ნაწილი—ტრაგედია,—განვითარებული უნდა ყოფილიყო კრიტიკაც; და მართლაც, დემოკრიტი, პლატონი და არისტოტელი ძველ, საბერძნეთის საუკეთესო კრიტიკოსები არიან. თუ პირველი არკვევდა ლექსთა წყობის კანონებს, პლატონი იკვლევდა მშვენიერების ძირითად თვისებებს, არისტოტელი კი თანამედროვე პოეზიის ანალიზით ცდილობდა პოეზიის მთელის მეცნიერულ თეორიის დამყარებას. თუ რა იყო არისტოტელის პიითიკის შინაარსი, ჩვენ არ ვიცით: ამ ნაწარმოების ერთი ნახევარი სრულებით დაიკარგა, ჩვენს დრომდე მოატანა მხოლოდ იმ ნაწილმა, სადაც არისტოტელი არკვევს ტრაგედიის თეორიას. ძველს რომში საუკეთესო თეორეტიკოსი კრიტიკისა იყო გამოჩენილი სატირიკოსი ჰორაციუსი.

არისტოტელის პიითიკას და ჰორაციუსის „საპოეზიო ხელოვნება“-ს მეტად დიდი გავლენა ჰქონდა ევროპის ხელოვნებაზე მეჩვიდმეტე საუკუნემდე. მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოვიდა ბუალოს „საპოეზიო ხელოვნება“, რომელსაც გულდასმით იზეპირებდნენ ევროპის პოეტები თითქმის მე-XIX საუკუნის ნახევრამდის.

ბუალო საუკეთესო თეორეტიკოსია ცრუ-კლასიურის ხელოვნებისა. თუმცა ის ეხება ხელოვნების მნიშვნელობასაც, მაგრამ უმთავრესი საკითხი, რომელსაც ის არკვევს, შემდეგია: რა პირობანი უნდა დაიცვას მწერალმა, რომ მისი ნაწარმოები მშვენიერებას წარმოადგენდეს. ბუალო მხოლოდ ამ მხრივ იკვლევს, როგორც ხელოვნების კანონებს, ისე პოეტიურ ენის თვისებებს. ბუალოს თვალში სტილს პოეზიაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აზრს. პოეტიურ სტილის შესწავლას დიდ ალაგს უთმობს. ხელოვნების ყოველ დარგისათვის ბუალომ შეჰქმნა რკინის კანონები, რომელიც სულს უხუთავს ევროპის ხელოვნებას; პოეზია იგივე აზრია, მხოლოდ თავისებურად გამოხატული. ყოველგვარი აზრი ნაყოფია მარტო ინდივიდუალურ ფსიხოლოგიისა კი არა, არამედ იმ საზოგადოებრივ პირობებისაც, რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს. ამიტომ, პოეზიის ასახსნელად საჭიროა, ერთის მხრით, პოეტის ბუნების, მეორეს მხრით—სოციალურ პირობების შესწავლა.

მეთვრამეტე საუკუნემდე ამ გზას კრიტიკა არ ადგა; მისი უმთავრესი საკვლევი—მშვენიერების პრინციპები იყო. მეთვრამეტე საუკუნეში პოპი, მონტესკიე და გერდერი ცდილობდნენ პოეზიისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შუა კავშირის გარკვევას, მაგრამ ამ გზას მტკიცედ და შეგნებულად ქ-ნი სტალი დაადგა. თავის თხზულებაში „ლიტერატურის შესახებ“ ის იკვლევს, თუ რა გავლენა აქვს საზოგადოებრივ წყობილებას, პოლიტიკურ ორგანიზაციას და სხ. ლიტერატურაზე. სტალის გზას გაჰყვა ვილმენი, სტალთან ერთ დროს ბარანტი ჰბეჭდავს წიგნს საფრანგეთის მე-XVIII საუკ. ლიტერატურის შესახებ, სადაც გარკვევით არის ის აზრი გამოთქმული, რომ ლიტერატურა მხოლოდ სარკეა ცხოვრებისა, საზოგადოებრივი წყობილება ლიტერატურასაც თავისებურ სახეს აძლევს და არა ლიტერატურა საზოგადო წყობილებასაო. ამგვარად, ლიტერატურის ახსნის საჭიროება შეგნებულად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში იბადება, მაგრამ ლიტერატურის მკვლევარნი უმთავრეს ყურადღებას საზოგადოებრივ ცხოვრებას აქცევენ. შეიძლება ამის მიზეზი საფრანგეთის რევოლუცია იყოს. თანამედროვეთა აზროვნება ამ დიადმა ისტორიულმა მოვლენამ ძირიანად შეარყია. თუ ზოგი იმ აზრისა იყო: ეს ამბოხება სულ ენციკლოპედისტთა ქადაგების ბრალიაო, სხვები დარწმუნებით ქადაგებდნენ: საზოგადოებრივი წყობილება ფუყე და დაობებული იყო; ამიტომ უსათუოდ უნდა დანგრეულიყო, ლიტერატურა აქ არაფერ შუაშიაო. რევოლუციამ შთანთქა ადამიანის აზროვნება, ყველა საზოგადოებრივის წყობილების კვლევამ გაიტაცა; აქ ეძებდნენ ყველაფრის მიზეზს, აქ ეძებდნენ ლიტერატურის ახსნასაც. ის ფაქტი, რომ ხელოვნების ახსნის ერთი ნასკვი თვით პოეტის ბუნებაშია, ყველას გადაავიწყდა, გარდა სენ-ბევისა, რომელმაც იკისრა ამ ფაქტის ახსნა და დასაბუთება. სენ-ბევის კრიტიკა იგივე ბიოგრაფიაა; ის დაწვრილებით იკვლევდა პოეტის ფსიხოლოგიას, რომ ამით აეხსნა მისი ნაწარმოები. სენ-ბევის მეთოდი არის ბიოგრაფიული. ის იკვლევს პოეტის ბიოგრაფიას, რომ იმით გაიგოს მისი ფსიხოლოგია; ფსიხოლოგია კი, სენ-ბევის აზრით ნათელსა ჰფენს მის პოეზიას.

ლიტერატურას უფრო ფართოდ ტენი უყურებდა. ეს ერთად-ერთი კრიტიკოსია, რომელიც კრიტიკისათვის ფართო მეცნიერულ ნიადაგს იკვლევდა. ხელოვნების ასახსნელად საჭიროა მწერლის მოდგმის, წრისა და ისტორიულ მომენტის გამორკვევა. ამისათვის საჭიროა მემკვიდრეობის შესწავლა, სოციალურის, პოლიტიკურის წყობილებისა და სხვ. გამოკვლევა. ისტორიულ მომენტის შესწავლით ტენი ცდილობდა იმის გამორკვევას, თუ როგორი იყო პოეტის სულიერი მდგომარეობა იმ დროს, როდესაც ის ამა თუ იმ ნაწარმოებსა ჰქმნიდა.

თანამედროვე კრიტიკოსთა შორის საუკეთესო ალაგი ბრანდესს უჭირავს, როგორც ნიჭით, ისე ერუდიციითა და ევროპის ლიტერატურის ცოდნით. ბრანდესი მოწაფეა, როგორც სენ-ბევის, ისე ტენისა. პირველთან მას აერთებს ბიოგრაფიული მეთოდი, მეორესთან—წრისა და ისტორიულ მომენტის შესწავლა.

ამგვარად, ერთის წამით გახედვა წარსულისაკენ შემდეგ გარემოებაზე გვითითებს. კრიტიკული აზროვნება, ძველის დროიდან მოკიდებული მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე, მხოლოდ პოეზიის დაფასებას მისდევდა. აქაც ის იმდენად ზნეობრივის ან სხვა რაიმე საზომით არ ხელმძღვანელობდა, რამდენადაც წმინდა მშვენიერებით. მე-XVIII საუკუნის ბოლოდან დღემდე კრიტიკა ცდილობს მხოლოდ პოეზიის ახსნას.

დღევანდელი იმპრესიონული კრიტიკა, რომლის თეორეთიკოსადაც გენეკენი უნდა ჩაითვალოს, ისევ ძველს გზას დაუბრუნდა: ის ცდილობს პოეზიის დაფასებას, ხოლო მშვენიერების ანალიზით კია არა, არამედ იმ შთაბეჭდილების აწონდაწონვით, რომელსაც პოეზია ახდენს მკითხველზე საზოგადოდ, ან მხოლოდ კრიტიკაზე.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა არის მიზანი კრიტიკისა. ერთის მხრით, ის ცდილობს ახსნას შემოქმედება და პოეზია, მეორეს მხრით, ცდილობს გამოარკვიოს ხელოვნების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. რამდენადაც კრიტიკა ასრულებს პირველ დანიშნულებას, ის არის მეცნიერება; რამდენადაც მეორეს—ის არის პუბლიცისტიკა. ამგვარად, კრიტიკის მიზანს ორი სახე აქვს: ერთი მეცნიერული, მეორე პუბლიცისტური.

რა არის პოეზია? პოეზია არის მხოლოდ სურათში ან სურათებში ჩამოსხმული აზრი. აქედან შემდეგი ორი დასკვნა იწყება: 1) უმთავრესი ნაწილი პოეზიისა არის აზრი, 2) იქ, სადაც არ არის აზრი, არ არის არავითარი პოეზია. ხოლო მარტო აზრი საკმაო არ არის პოეზიისათვის: აზრის გარდა, პოეზიას განუყრელად თან უნდა ახლდეს ისიც, რასაც საერთოდ მშვენიერება ეწოდება. თუ რისთვის არის ეს მშვენიერება საჭირო, ამას ქვევით დავინახავთ. დღემდე არ არსებობს არც ერთი თეორია, რომელიც საკმაო დასაბუთებულ პასუხს იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა არის შემოქმედება. დღეს ყველაზე უფრო გავრცელებულია სპენსერის თეორია. სპენსერი შემოქმედებასა და საზოგადო ხელოვნებას უყურებს, როგორც უმიზნო თამაშს, ვარჯიშობას. არსებობისთვის ბრძოლაში იხარჯება ცხოველის ენერგია, ყოველ ცხოველს ენერგია ზედმეტი აქვს, ვიდრე რჩენისათვის საჭიროა. ზედმეტ ენერგიას ის ხარჯავს უმიზნო ვარჯიშობაში. ხელოვნებაც იგივე ვარჯიშობაა, მიზანს მოკლებული.

როგორც სიტყვა არ არის მარტო ადამიანის კუთვნილება, და მერცხლის ჭიკჭიკსა, ხბოს ბღავილში და სხ. უკვე არის ჩასახული სიტყვა, არც შემოქმედებაა მარტო პოეტის კუთვნილება, ის ყოველ ადამიანს გააჩნია. როდესაც ბავშვი ცდილობს უსწორ-მასწორო ხაზებით ადამიანის თავის, ფრინველის და სხვ. დახატვას, როდესაც პატარა მოსწავლე ალტაცებით უამბობს დედას, თუ როგორ კარგად მიუგო მან გაკვეთილი მასწავლებელს, აი, ამ მარტივ ფაქტებშიაც კი არის საკმაოდ შემოქმედება.

რა არის შემოქმედება? ის გამოხატვაა სურათისა, გრძნობისა და ფიქრის,—ჩამოთვლილ მაგალითებში კი ყველა ეს ელემენტებია! რაც უნდა ნიჭიერი იყოს ბავშვი, დიდ ადამიანთან მისი შედარება შეუძლებელია,—მაშ შემოქმედება ყოველ ნორმალურის გონიერების ადამიანის სჩვევია; მაგრამ ამგვარ შემოქმედებას არავითარ ხელოვნების შექმნა არ ძალუძს,—ხელოვნება ნაყოფია მხოლოდ უმწვერვალესად განვითარებულის შემოქმედებისა. აიღეთ ორი ორატორი. ორივე ერთისა და იმავე საგნის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ როდესაც ერთი სრულსა და გარკვეულს წარმოდგენას აძლევს მსმენელს, მეორე მხოლოდ ბუნდოვან წარმოდგენას სტოვებს. აიღეთ ორი აღწერა რომელისამე ბუნებრივ მოვლენისა: მაშინ, როდესაც პირველი აღწერა მკაფიო სურათს სტოვებს თქვენს გონებაში, მეორე მხოლოდ დაჩრდილულ უკონტურო სურათს გაძლევთ. რა არის ასეთ განსხვავების მიზეზი? მიზეზი შემდეგია: ნათელი წარმოდგენა რომ იქონიოთ საგანზე, თქვენ უნდა იცოდეთ, ერთის მხრით, ის, თუ რა ძირითად მსგავსება აქვს მას სხვა საგნებთან, მეორეს მხრით—თუ რა ძირითადი განსხვავებაა მასა და სხვა საგნებს შორის, მესამეთ ის, თუ როგორია მისი ნიშნობლივი დამახასიათებელი თვისებანი. ხშირად შეხვდებით სიტყვა-კაზმულ მწერლობაში შემდეგ ფაქტს: ერთი მწერალი რამდენსამე ფურცელს ანდომებს თავის გმირის დახასიათებას, მაგრამ ბოლოს მისი გმირი რაღაც უსახო, გაურკვეველი გამოდის, მეორე კი რამდენისამე სიტყვით სავსებით და უნაკლულოდ ახასიათებს თავის გმირს; აქ მიზეზი ცხადია,—ერთი ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ მთავარი თვისება გმირის ხასიათისა მისთვისაც შეუმჩნეველი რჩება, ამიტომ ვერც მკითხველს აძლევს ნათელ წარმოდგენას; მეორე კი მხოლოდ გმირის ხასიათის ნიშნობლივ სპეციფიკურ თვისებაზე გითითებთ და ამით ერთის დაკვრით გაგაცნობთ მას; მაშასადამე, შემოქმედების ერთი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო ადვილად ამჩნევს ყოველს მოვლენასა და საგანში ნიშნობლივსა და არა-ნიშნობლივ თვისებებს, ვიდრე ჩვეულებრივი დაკვირვება.

ცხოვრება შეუჩერებლად წინ მიდის, ის მუდმივ ცვალებადია, ხოლო ამ ყოველდღიურ ცვლილებას ჩვეულებრივი ადამიანი ვერ ამჩნევს. ბაზაროვები მხოლოდ მაშინ დაინახა რუსეთის საზოგადოებამ გარკვევით, როდესაც ტურგენიევის რომანი წაიკითხა. განა ტურგენიევის რომანმა დაჰბადა ისინი? რა თქმა უნდა, არა,—თვით ბაზაროვმა დაჰბადა ტურგენიევის რომანი, მაგრამ ტურგენიევმა დაინახა და დახატა ის, რაც ცხოვრებაში უკვე გაჩენილი იყო და რასაც უმრავლესობა ჯერ ვერ ხედავდა. საზოგადოდ შემჩნეულია შემდეგი: როდესაც ადამიანის ყურს მრავალ დღეების განმავლობაში სულ მაღალ ტონის ხმა ესმის, დაბალ ტონის ხმა მას ბოლოს აღარ ეყურება. იგივე ემართება საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანსაც: მისი თვალი, მისი ფიქრი, მისი აზროვნება მიჩვეულია ცხოვრების ერთგვარ სახეს, ერთგვარ მიმდინარეობას, და ცვლილებას ცხოვრების სახეში, მის მიმდინარეობაში მხოლოდ გვიან ამჩნევს. ავიღოთ დიდებული შექსპირი. ჰამლეტი ჩვენის დროის დიდებული ლიტერატურული განძია, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომელშიაც ეს პიესა დაიბადა, ავტორის ნიჭი კიდევ

მოჰკლეს ტფილისის რკინის გზის სადგურის ერთ-ერთი ბარგის მზიდავი. როგორც მკვლელის, ისე მოკლულის ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა და სასტუმრო „ორიანტში“ ჩამოხტა **ჯარების გადაყვანის უფროსი გენერალი თაყაიშვილი.**

◆ აგვისტოს პირველ რიცხვებში გზათა სამინისტრო გამოგზავნის სამინისტროს ერთს წევრს ამიერ-კავკასიისა და კავკაზის რკინის გზების დასათვალიერებლად და იმ მიზეზთა **გამოსაკვლევად, რომელმაც ამ გზებზე მოსამსახურეთა გაფიცვები გამოიწვია.**

◆ ქ. შუშიდან გაზ. „მშაკს“ ატყობინებენ, რომ იქ **გაფიცულან ხარაზების შეგირდები და ქარგლები** და რამდენისამე მოწინააღმდეგე ოსტატისათვის უცემიათ.

◆ იმავე გაზეთის სალმასტელი (სპარსეთი) კორესპონდენტი იუწყება, რომ ერთგულნი ჯაფარალისა, რომელიც ამას წინად თავრიზში მოჰკლეს, სალმასტზე გლაშქრებას აპირობენო. **სპარსეთის მთავრობას სალმასტში ჯარი გაუგზავნია** და მცხოვრებლებისათვისაც თავის დასაცველად შეიარაღების ნება მიუცია.

◆ იმავე გაზეთს, 11 ივლისს, იმავე ადგილიდან ატყობინებენ, რომ 10 ივლისს, **შერიფ-ბეგის 200 ცხენოსანი კაცი დასცემია** თათრის ორს სოფელს და გაურეკიათ 500 სული საქონელი, მოუკლავთ 4 თათარი და რამდენიმე კაცი ტყვედ წაუყვანიათ. მთავრობას ხალხის მისაშველებლად ჯარი გაუგზავნია, მაგრამ ხელცარიელი ჯარი უკანვე დაბრუნებულა.

◆ ლ. დ. დონსკოი ამჟამად პეტერბურგში იმყოფება და **ტფილისში რუსულ ოპერისთვის არტისტებს აგროვებს,** ხოლო აგვისტოში იტალიას მიდის იტალიურ დასის შესადგენად. ჯერ-ჯერობით ტფილისის ნაცნობებში მოუწვევია: ქ-ნი კარრი, ბაუერი, ბ-ნნი: ტომაშევიჩი და სოკოლსკი. დირიჟორებად მოწვეულნი არიან შტეინბერგი და ფალიაშვილი. ორკესტრში 34 კაცი იქნება.

◆ ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგეს, ბ-ნ სვ. ხუნდაძეს, თანახმად დასავლეთ-საქართველოს სკოლების მასწავლებელთა ერთის ჯგუფის თხოვნისა, **ქართულს ენაზე შეუდგენია პროგრამა** საბუნებისმეტყველო საგნებისა ორ-კლასიან სასოფლო სკოლებისათვის.

◆ როგორც უკანასკნელ **აღრიცხვიდანა სჩანს,** ტფილისში ამჟამად 209,902 მცხოვრები ყოფილა. მათ შორის სომეხია 70,209 კ., რუსი 62,318 კ., ქართველი 40,240 კ., მაჰმადიანი 17,061 კ. და ებრაელი 2,956 კაცი.

◆ **ტფ, სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა კვლავ დაიწყო სესხის გაცემა სოფლის მამულებზე,** ამასთან გორის მაზრის სოფლის მამულებზე გაიცემა სესხი მხოლოდ იმ სოფლებში, სადაც გლეხთა მოძრაობა არ ყოფილა და მამულები შემოსავალს იძლევა.

◆ არქიმანდრიტი ხაჩიკ დადიანცი, რომელიც საეკლესიო მამულების ჩამორთმევის დროს ტამბოვის გუბერნიაში **იქმნა გაგზავნილი,** ამ დღეებში ტფილისს დაბრუნდა.

◆ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, მდ. არაგვზე გადებული ხიდი, რომელიც მთელს ჭოპორტის საზოგადოებას ძლიერ ძვირად დაუჯდა, **არაგვს დაუნგრევია.**

◆ საქართველოს სინოდალურმა კანტორამ უბრძანა სიონის დეკანოზს მარკოზ ტყემალაძეს, ბალაჯარაში შეეგებოს ახლად დანიშნულს ექსარხოსს ნიკოლოზს, რომელიც სამშაბათს, 2 აგვისტოს, ჩამოვა ტფილისს.

◆ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა სთხოვა საქართველოს სინოდალურ კანტორას, ამ კანტორის წევრად, როგორც წარმომადგენელი იმერეთის სამღვდელოებისა, დანიშნონ არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), რომელიც ამჟამად რუსეთის ერთ-ერთს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად არის და რომელიც საქართველოდან ვოსტორგოვის წყალობით არის გაძევებული.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის დადგენილებისამებრ, ეს მესამე წელიწადია, რაც ტფილისის პოლიცია დაეძებს ვინმე როსტოვსკის, რომელიც შენიშნული ყოფილა **ყალბ სახელმწიფო საბუთების შედგენასა და სხვა ბევრს ბოროტ-მოქმედებაში.** ამ დღეებში მეოთხე საპოლიციო უბნის ზედამხედველს მიუტანია კვალი როსტოვსკიზე და შეუპყრია. იგი თურმე ექიმ გასპარიანცის სახლებში ბინადრობდა.

◆ 28 ივლისს, სოღანლუღის სადგურზე, პირველ კლასის ვაგონში **გაუქურდავთ** გენერალი არციშევსკი. ქურდები იქვე შეუპყრიათ.

◆ სად. ძირულაზე, 29 ივლისს, მატარებელს № 29 ქვეშ ჩავარდნილა გლეხი **დავით ფერაძე და გასრესილა.**

◆ ◆ ◆

სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარი სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მიმართ

„5 ივნისს, 10974 ნომრით ჩემ-მიერ გამოცემულ ცირკულიარში ნათქვამია, რომ 1905—1906 სასწავლო წელს ვაჟთა გიმნაზიების მე-VII კლასში შემოღებულ უნდა იქმნას კანონმდებლობის შესწავლა, რომელსაც კვირაში ორი გაკვეთილი დაეთმობა, და ფილოსოფიური პროპედევტიკა, რომელსაც კვირაში ერთი გაკვეთილი დაეთმობა. ესევე საგნები უნდა ისწავლებოდეს გიმნაზიების მე-VIII კლასში და თვითოეულს საგანს კვირაში ორი გაკვეთილი დაეთმობათ.

გიგზავნით რა ამასთანავე სამეცნიერო კომიტეტისაგან შემუშავებულს და ჩემ-მიერ დამტკიცებულს პროგრამებსა და მათს განმარტებათ: ფსიხოლოგიისას მე-VII კლასისათვის, ლოღიკისას მე-VIII კლასისათვის და კანონმდებლობის შესასწავლად მე VII და მე-VIII კლასებისათვის, საჭიროდ ვსთვლი გაუწყოთ, რომ, როდესაც გიმნაზიის კურსში შეტანილ იქმნა ფილოსოფიური პროპედევტიკა, საჭიროდ დავინახეთ, შეგვეზღუდა ამ საგნის სწავლება და პროგრამაში არ შეგვეტანა ფილოსოფიის შესავლისა და ფილოსოფიის ისტორიის სწავლება. მე-VII კლასში უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ფსიხოლოგია და მე-VIII კლასში ლოღიკა, ვინაიდან სხვადასხვა ფილოსოფიურ პრობლემების სწავლება საუნივერსიტეტო საგანია. საშუალო სასწავლებელში უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ფაქტებზე დამყარებული შემეცნებანი და ჰიპოტეზებს ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი. პროგრამაში არ შევიტანეთ აგრეთვე სწავლება ფილოსოფიის ისტორიისა, ვინაიდან ის ოთხი გაკვეთილი, რომელიც დათმობილი აქვს ფსიხოლოგიისა და ლოღიკის შესწავლას გიმნაზიებში, მანიმუმას ამ საგნების შესასწავლად და ფილოსოფიის სხვა დარგთა შესწავლისათვის დრო აღარა რჩება.

რადგანაც გიმნაზიის აწინდელ მასწავლებელთა შორის ჯერჯერობით ამ საგნების სწავლებისათვის სპეციალურად მომზადებულნი ნაკლებადაა, შესაძლოთ ვცნობ ფსიხოლოგიისა და კანონმდებლობის გაკვეთილები ჩაბარდეს სასულიერო მართლ-მადიდებელ აკადემიასა და იურიდიულ ფაკულტეტზე კურს-დამთავრებულთ; კანონ-მდებლობის სწავლება შეიძლება მიენდოს ისტორიის იმ მასწავლებლებს, რომელნიც ამ საგნის სასწავლებლად თავს საკმაოდ მომზადებულად გრძნობენ. ზოგიერთ იურიდიულ თხზულებათა, განსაკუთრებით კი უფლებათა ენციკლოპედიის, მასწავლებელთათვის გასაცნობად, სასარგებლოდა ვსთვლი, გიმნაზიების სამკითხველოებში შეძენილ იქმნას ის წიგნები, რომლებიც ჩამოთვლილია პროგრამათა განმარტებებში“.

მცირე განმარტება

ბიუროკრატიის ერთ დამახასიათებელ თვისებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ, როდესაც თავის თავს ძლიერადა გრძნობს, ამაყი და ყოვლად დაუნდობელია, ხოლო სისუსტის დროს კი—უფრო რბილი და მოლიბერალო. მძვინვარებდა ბიუროკრატია, სანამ ხალხს ეძინა და ყურმოჭრილ ყმასავით ითმენდა მის ყოველგვარ ძალმომრეობასა და თვითნებობას; მაგრამ როდესაც ხალხი აზვირთდა, შეიგნო, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, დაიწყო მოქმედება,—მაშინ კი ბიუროკრატიამაც მოქმედების ტაქტიკა შესცვალა და წვრილ-წვრილ რეფორმების შემოღებით სურს ძველი ძალა და გავლენა შეინარჩუნოს. ბიუროკრატია ყოველთვის ასეთი ყოფილა და დღესაც ასეთია.

რუსეთის საერთო მოძრაობას კავკასია არა თუ ჩამორჩა,—პირიქით, კიდეც გაასწრო. ანორმალურმა სოციალ-ეკონომიურმა პირობებმა, დიდი ხანია, ნიადაგი მოუმზადა ამ მოძრაობას. ეკონომიურ პირობებს დაემატა კიდევ გამარუსებელი პოლიტიკა, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა და გააცხოველა უკმაყოფილება.

დღეს, როგორცა სჩანს, ბიუროკრატია აპირობს ძველებური ტაქტიკის შეცვლას და სურს სხვადასხვა წვრილ რეფორმების შემოღებით ხალხი დაამშვიდოს და მის „კულტურულ განვითარებას“ „ნორმალური“ ხასიათი და ძიმდინარეობა მისცეს. ამისთანა რეფორმებად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, ერობის შემოღება, პირველ-დაწყებით სასწავლებლებში პროგრამის შეცვლა და მათი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება...

ეჭვს გარეშეა, რომ ერობის შემოღებას ჩვენში მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ჩვენს სრულს პოლიტიკურ უვიცობას დავამტკიცებდით, რომ ამ რეფორმებისთვის ძირითადი მნიშვნელობა მიგვეცა.

მესამოცე წლების საზოგადოებრივ გამოღვიძების ზედგაელენით, რუსეთში ერობა შემოიღეს, მაგრამ მას შემდეგ ამ ერობის ხასიათმა ბევრჯერ იცვალა ფერი. ეს კი მოხდა იმიტომ, რომ ძალაისევ ბიუროკრატიას შერჩა ხელში, იმ ბიუროკრატიას, რომელიც მთელის თავის არსებით წინააღმდეგი იყო საზოგადოების თვითმოქმედებისა და რომელიც ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ დაეხშო ეს თვითმოქმედება. ბიუროკრატიამ ერობას ფერი უცვალა, იგი ადმინისტრაციას დაუმორჩილა და, ამგვარად, ამ „თვითმართველობას“ ყოველგვარი ცხოველი ძალა და მნიშვნელობა დაუკარგა.

სწორედ ასეთივე ბედი ეწევა ყოველ დაწესებულებას, რომელიც კი ჩვენში ბიუროკრატიისმიერ იქნება შემოღებული. საკმარისია ბიუროკრატიამ ხელახლა მოიმაგროს ფეხი, რომ ჩვენი მხარე სამუდამოდ გამოეთხოვოს იმას, რაც ბიუროკრატიისაგან ჰქონდა ბოძებული.

რითი განსხვავდება არსებითად ძველი დრო ახალისაგან, ძველი მოძრაობა ახალ მოძრაობისაგან? იმით, რომ დღეს ხალხი უკვე შეგნებით შეუდგა საქმეს, დღეს მისი წვრილ-წვრილ რეფორმებით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. ბიუროკრატიას კი სწორედ ამ წვრილ რეფორმებით უნდა დააკმაყოფილოს აბობოქრებული ხალხი.

ყოვლად შეუძლებელია «თავისუფალმა» დაწესებულებამ სასურველი ნაყოფი გამოიღოს იქ, სადაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პრინციპს „მონობა“ შეადგენს. თუ გვინდა, რომ ამისთანა დაწესებულებამ სასურველი ნაყოფი მოიტანოს, უსათუოდ უნდა შეიცვალოს მთელი აწინდელი წყობილება...

ის რეფორმები, რომლების შემოღებასაც ბიუროკრატია ცდილობს, მცხოვრებთა ღრმა იარებს ვერასოდეს ვერ განკურნავს და მხოლოდ დროებით შეიძლება დააკმაყოფილოს ხალხის შეუგნებელი ელემენტები.

ამისთანა პირობებში პრესსისა და საერთოდ ყოველ საზოგადო მოღვაწის მოვალეობაა, ნათლად გამოარკვიოს და დაანახოს ხალხს, რომ, თუმცა წვრილ რეფორმებსაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ხალხის მდგომარეობისა და საერთო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის კი მაინც არ კმარა...

ა. ჯ—შვილი.

◆ ◆ ◆

საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის მოქმედება 1903 წელს რუსეთში

ამ ცოტა ხანში ამ ბანკის 1903 წ. მოქმედების ანგარიში გამოვიდა. ამ წლის განმავლობაში სულ 7,041 თხოვნა მისულა ბანკს და საერთო რაცხვით ყველას 81,184,365 მანათი უთხოვნია სესხად. ამ ფულით სურდათ 874,921 დესიატინა მიწა ეყიდნათ. ბანკმა მხოლოდ 5,978 მთხოვნელი დააკმაყოფილა, სხვის მთხოვნელთ სურდათ 776,670 დესეტინა მიწა 85,593,733 მანათად დაფასებული, შეეძინათ, ბანკმა მხოლოდ 63,942,554 მანათი გასცა სესხად, დანარჩენი 21,651,179 მანათი კი მსყიდველებს თავის ჯიბიდან უნდა დაემატებინათ.

ამ სახით 1903 წელს ბანკს 2,173 მთხოვნელი ვერ დაუკმაყოფილებია (თითქმის 30%).

სესხის მთხოვნელთა რაოდენობა ასე ნაწილდება: 5% სოფლის საზოგადოება (350 სოფ.), 70% სხვადასხვა ამხანაგობა (4200 ამხან.), დანარჩენი 25% კერძო პირთ.

1903 წელს 776,670 დესიატინა სასყიდლად ნებადართულ მიწებიდან სოფლის საზოგადოებათ შეუძენიათ მხოლოდ 118,284 დესიატ., ამხანაგობათ—643,251 დესიატ., კერძო მესაკუთრეებს—15,035 დესიატინა მიწა.

გლეხებს დესიატინაზე შუა რიცხვით 107 მანათი გადაუხდიათ, ამხანაგობათ—110 მან., კერძო მესაკუთრეებს—134 მან.

1903 წ. მიწები გაუყიდნია თვითონ საგლეხო ბანკს—378 მამული, ზომით 141,942 დესეტინა; თავად-აზნაურთა კერძო მამულები 3,528, ზომით 389,092 დესეტინა. საგლეხო მამულები 1903 წ. უმთავრესად უფის, პერმისა და ორენბურგის გუბერნიებში გაუყიდულა, სულ 792, ზომით 88,827 დესეტინა.

1903 წ. გატანილი სესხი 1845 შემთხვევაში გლეხებს სამოსახლო ადგილის შესაძენად სდომებიათ, სულ 54 გუბერნიაში, შეუძენიათ 297,622 დესეტინა, რომელზედაც უნდა მოთავსებულიყო 27,920 ოჯახი, ან 84,287 სული.

თავის არსებობის დღიდან (1883 წ.) საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს სულ 52,193-ჯერ გაუცია სესხი, რომლის ჯამიც 415,155,130 მანათს უდრის. ამ ფულით გლეხებს უყიდნიათ 7,311,143 დესეტინა მიწა და საერთოდ 537,204,444 მანათი გადაუხდიათ.

ბანკის სესხით 1,104,002 ოჯახს უსარგებლია, სულ 3,496,452 სულს.

დღეს საგლეხო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულია სულ 6,811,108 დესეტინა მიწა, 374,059,220 მ. და 28 კაპ. ვალში.

საადგილ-მამულო საგლეხო ბანკი არ ემსახურება ყველას, განურჩევლად ეროვნებისა. პირიქით მას დავალებული აქვს ხელი შეუწყოს რუსების გადასახლებას განაპირა ადგილებისკენ, ხელი შეუწყოს იმ საერთო გამარუსებელ პოლიტიკას, რომელიც ბიუროკრატიას მიზნად დასახული ჰქონდა.

საგლეხო ბანკის მოქმედება ამ მხრივ არა-რუსთათვის მავნებელიც ყოფილა...

რ უ ს ე თ ი

ფრანგულ გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში ხელმწიფის თავმჯდომარეობით მომხდარმა კრებამ **ცოტაოდენი** ცვლილება შეიტანა ბულიგინის პროექტში საერო წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ. სახელმწიფო რჩევას უფლებანი მოუმატეს, ხოლო უმთავრესი იდეა იგივე დარჩა, როგორც პროექტში იყო. საერო წარმომადგენლობას მხოლოდ რჩევის უფლება ექნება და მინისტრები რჩევის წინაშე პასუხს არ აგებენ. (რ. ვ.)

◆ „ლოკალ ანცაიგერ“-ის სიტყვით, სენატორი ფრიში გერმანიის პოლიციის მოწყობილობის შესასწავლად წავიდა. ფრიშმა ზემოხსენებულ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ იგნატიევის კომისიამ, რომელსაც გაძლიერებულ დაცვის წესების გადასინჯვა ჰქონდა მინდობილი, პრინციპიალურად გადასწყვიტა **გაძლიერებულ დაცვის წესის მოსპობა.** ფრიშის სიტყვით, გრაფი იგნატიევი ცდილობს რუსეთში პოლიციურ წეს-წყობილების მაგივრად უფლებრივი წეს-წყობილება შემოიღოს. კომისია თავის შრომას მაშინ დაამთავრებს, როცა ფრიში ბერლინიდან დაბრუნდება. განზრახულია, რუსეთშიაც სწორედ ისე მოაწყონ პოლიცია, როგორც გერმანიაშია მოწყობილი (რ. ვ.).

◆ დონის როსტოვი, ნახიჩევანი, ტაგანროგი და აზოვი დონის ოლქს უნდა ჩამოაშორონ და ამ ადგილებიდან **ცალკე გუბერნია** დააარსონ. (რ. ვ.).

უფრო მიუწვდომელი ხდება: მართლაც, დახატვა იმისი, რაც უკვე არსებობს და რამდენისამე ნიშნების მიხედვით აღდგენა მისი, რაც მომავალში უნდა იქმნეს, ერთი და იგივე არ არის,—მეორესთან შედარებით პირველი სულ ადვილი საქმეა. შექსპირის თანამედროვეებმა ჰამლეტი ვერ იცნეს,—ვერ იცნეს იმიტომ, რომ ჰამლეტი შექსპირის დროს არ ყოფილა; ის ღვიძლი შვილია მეცხრამეტე საუკუნისა. საზოგადოება კარგად იცნობდა მაკბეტებს, რიჩარდებს, ჰენრიხებს, ხოლო ჰამლეტი მას არ ენახა. შექსპირის დროს მხოლოდ იშვიათი ნიშნები იყო საზოგადოებაში ჰამლეტისა, პოეტმა კი ამ მცირე ნიშნების წყალობით შექმნა უკვდავი ტიპი, რომელმაც საუცხოოდ დაახასიათა ევროპის ყველაშემდეგი თაობა, დღემდე მოკიდებული.

ამგვარად, შემოქმედების მეორე თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ის ამჩნევს და ჰხედავს ცხოვრებაში მას, რაც ჩვეულებრივ დაკვირვებას შეუმჩნეველი რჩება. ჰამლეტში რომ პოეტს მხოლოდ ის შეეერთებია, რაც მან ცხოვრებაში დაინახა, მისი ჰამლეტი სრულებით სხვა გამოვიდოდა. და თუ ეს ასე არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტი მარტო ცხოვრების სინამდვილეს არ დაენდო და თავის ფანტაზიასაც დაუჯერა. ფანტაზია ერთი უძლიერესი თვისებაა შემოქმედებისა; შემოქმედება უფანტაზიოდ იგივეა, რაც ფრინველი უფრთოდ, ადამიანი—უხელოდ. ფანტაზია—ეს სამსონის თმაა შემოქმედებისათვის: როგორც სამსონი უძლურია უთმოდ, ისე შემოქმედება სუსტია უფანტაზიოდ. ქართულ პოეზიის სისუსტის ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის პოეტების ფანტაზია, საერთოდ, მეტად სუსტია. ამ უკანასკნელ მოვლენის მიზეზი ქართველ ადამიანის ბუნებაში კი არ მდგომარეობს, არამედ ცხოვრების პირობებში. ფანტაზია იმ ერისა, რომელიც მოკლებულია პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და თვით-მოქმედებას, სუსტია, მაშასადამე, სუსტი უნდა იყოს თვით ლიტერატურაც. თავისუფლება და თვით-მოქმედება საუკეთესო საშუალებაა, როგორც კერძო ადამიანისა, ისე მთელის ერის განსავითარებლად.

მკითხველისათვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ტიპები ცხოვრებაში ან სრულებით არ არიან, ან ერთობ იშვიათად. მაშ საიდან სესხულობს მას მწერალი? ის უკვირდება მრავალ სხვადასხვა პირს, ამჩნევს და ჰკრებს მათში ტიპიურ თვისებებს, შემდეგ ყველა ამათ ერთ პიროვნებაში მოუყრის თავს და მისცემს მას ინდივიდუალურ, თავისებურ სახეს. ამგვარად, შემოქმედების მეოთხე თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ის აერთებს, ერთად ჰკრებავს მას, რაც ცხოვრებაში გაფანტულია, გაბნეულია. წაიკითხეთ „ოთარაანთ ქვრივი“ და „მოლიპულ გზაზე“: პირველს ვერ გამოაკლებთ ვერც ერთ სიტყვას ისე, რომ მთლიანობა არ დაირღვეს. აქ ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის, ყოველი სიტყვა საჭიროა. სამაგიეროდ, მეორეში არა თუ სიტყვის, მთელი თავის გამოკლება შეიძლება ისე, რომ რომანის ღირსებას არა თუ არაფერი არ დააკლდება, შეემატება კიდეც. მაშინ, როდესაც პირველი მკითხველს ჰხიბლავს თავის სიტყვა-მოკრილობით, მეორე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, ჰღლავს მკითხველს სიტყვა-ზვიადობით. ამგვარი ანალიზი სხვადასხვა ნაწარმოებისა ცხადად ამტკიცებს, რომ მეხუთე და ერთ უსაჭიროეს თვისებას შემოქმედებისას ზომიერების, სიმეტრიის დაცვა შეადგენს.

ყველა ჩამოთვლილის თვისებით საკმაოდ რომ იყოს დაჯილდოებული პოეტი, მისი შემოქმედება ფრიად სუსტი იქნება, თუ მას თან არ ახლავს ერთი თვისებაც, რომელსაც პოეზიაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად შეხვდებით მწერლობაში, რომ ერთს ადვილად ეხერხება ყოველგვარის გრძნობის, აზრისა და თვისების გამოხატვა, მეორეს კი მეტად ეძნელება. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთს საკმაოდა აქვს გამომხატველობის ნიჭი, მეორეს კი არა; სწორედ ეს გამომხატველობის საკმაო განვითარება შემოქმედების აუცილებელ თვისებას შეადგენს. გამომხატველობითი ნიჭი რთული თვისებაა შემოქმედებისა,—ის, ერთის მხრით, ბუნებრივი განძია, მეორეს მხრით, შეძენილი ცოდნა: მაგალითად, მწერალმა რომ ადვილად და სისწორით გამოხატოს თავისი ფიქრი და გრძნობანი, გამომხატველობის ნიჭთან ერთად მას უნდა ჰქონდეს მდიდარი ენა, უამისოდ მისი გამომხატველობითი ნიჭი შებორკილია.

ყველა ჩამოთვლილი თვისება შეადგენს შემოქმედების ობიექტურ მხარეს. მაშასადამე, შემოქმედებას სუბიექტური მხარეც ჰქონია. ასეთ მხარეს შეადგენს შთაბეჭდილების მთლიანობა, გრძნობათა სიღრმე და სიწრფელე და სხ.; მკითხველისათვის ცხადია, რომ თვით შემოქმედება არის ფსიხიური აქტი, იმდენადვე აუცილებელი, როგორც სუნთქვა და სხვა. მისს საძირკველს, როგორც ყოველის ფსიხიურ აქტისას, იდეათა ასსოციაცია შეადგენს. ამგვარის შემოქმედებითი ასსოციაციის მიზეზი არის: ან 1) გარეშე ბუნება, ან 2) პოეტის შინაგანი მხარე, ანუ „მე“, ან 3) ორივე ერთად. ყოველგვარის შემოქმედების დამახასიათებელ მხარეს ის შეადგენს, რომ იგი არის მოთხოვნილება. ადამიანის სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება ორ დიდ ჯგუფად განიყოფება; ერთ ჯგუფს შეადგენს ის მოთხოვნილებანი, რომელთა მიზანიც სასიცოცხლო საჭიროებათა დაკმაყოფილებაა, მაგალითად, საზრდოობა, სუნთქვა და სხვა; მეორე ჯგუფს შეადგენს ის მოთხოვნილებანი, რომელიც ხორციელ დაკმაყოფილებას, სიცოცხლის განგრძობას სრულებით არ ემსახურება; პირველს უწოდებენ საზოგადოდ ფიზიკურ მოთხოვნილებას, მეორეს სულიერს, შემოქმედება წარმოადგენს სულიერ მოთხოვნილებას. გავიგოთ, რა განსხვავებაა ამ ორ სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათა შორის.

ავიღოთ ორი ფიზიკური მოთხოვნილება: სმაჭამა და სუნთქვა. ადამიანი თავის ფიზიკურ აგებულობით წარმოადგენს ცოცხალ მანქანას; როგორც ყოველგვარ მანქანას, მას შეუძლიან მუშაობა; მუშაობისთვის კი საჭიროა მასალა ანუ საზრდო; როგორც ყოველგვარ მანქანის ნაწილები, ისე ადამიანის სხვადასხვა ქსოვილებიც ცვდებიან მუშაობის დროს; მათ შესავსებად საჭიროა იგივე საზრდო; ამგვარად, საზრდო საერთოდ იცავს იმ პირობებს, რომელთა გარეშეც ჩვენს აგებულებას სიცოცხლე და მოქმედება არ შეუძლია. თვითონ საზრდოობა ხშირად სიამოვნებასა გვძენს, მაგრამ ამ სიამოვნებას არავითარი კავშირი არა აქვს თვით საზრდოობის დანიშნულებასთან; იგივე უნდა ვთქვათ სუნთქვაზედაც. ჩვენს ქსოვილებში მათის მოქმედების შედეგად რჩება უვარგისი ნივთიერება—ნახშირის სიმჟავე; მოქმედება კი ქსოვილებს არ შეუძლიან უჟანგბადოდ; სუნთქვის შემწეობით ჩვენი აგებულება იშორებს თავიდან პირველს და იძენს ჰაერიდან მეორეს. ამგვარად, სუნთქვის ერთად-ერთი მიზანია დაცვა იმ პირობებისა, რომელიც ჩვენის ქსოვილების სიცოცხლისა და მოქმედებისათვის საჭირო არის.

ავიღოთ ახლა რომელიმე სულიერი მოთხოვნილება, მაგალითად, მუსიკა. ჩვენ ეს მაგალითი მისთვის ავიღეთ, რომ ამგვარი მოთხოვნილება ყოველგვარ ხალხის კუთვნილებას შეადგენს, როგორ კულტურულ სიმაღლეზედაც უნდა იდგეს იგი. ყველასათვის ცხადია, რომ მუსიკის დაკვრას ან მისს მოსმენას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ პირობებთან, რომელშიაც ჩვენი ქსოვილები ცოცხლობენ და მოქმედობენ. რა სულიერი მოთხოვნილებანიც უნდა ავიღოთ, ყველგან ამ თვისებას აღმოაჩენთ. ამგვარად, ძირითადი განსხვავება ფიზიკურსა და სულიერ მოთხოვნილებათა შორის ის არის, რომ პირველი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სიცოცხლისათვის, მეორე კი—არა. როგორ გაჩნდა ფიზიკური მოთხოვნილებანი? ისინი, ერთის მხრით, თან დაჰყვა სიცოცხლეს. მეორეს მხრით, წარმოიშვა და განვითარდა არსებობისთვის ბრძოლაში. მაგალითად, საზრდოობა თანდაყოლი მოთხოვნილებაა სიცოცხლისა. ქვეყნად არ მოიპოვება არც ერთი მიკრობი, არც ერთი უმნიშვნელო უჯრედი, რომელიც არ საზრდოობდეს ამა თუ იმ სახით. სქესობრივი მოთხოვნილება წარმოიშვა და განვითარდა მხოლოდ შემდეგ, როდესაც ქვეყნად ორგანიული სიცოცხლე, დიდი ხანია, არსებობდა.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს სულიერ მოთხოვნილებათა წარმოშობა და განვითარება. როგორც დავინახეთ, სასიცოცხლო პროცესებთან სულიერ მოთხოვნილებათ არავითარი კავშირი არა აქვთ: აქედან ცხადია, რომ სულიერი მოთხოვნილებანი ხანგრძლივის განვითარების ნაყოფი უნდა იყოს.

თავისუფალმა დრომ და თავისუფალმა ენერგიამ წარმოშობა და განავითარა ცხოველ არსებაში სხვადასხვა სულიერი მოთხოვნილება. სულიერი მოთხოვნილებანი იქ, სადაც ნერვები საკმაოდ არ არის განთავისუფლებული, წარმოუდგენელია: ავიღოთ, მაგალითად, ძაღლი; არსებობისათვის ბრძოლა მას დიდს დროსა და ენერგიას არ აცლის: დანიშნულ დროზე პატრონი აწვდის მას ლუკმას. იმ ენერგიას, რომელიც მასში დღიურ ლუკმის ძებნაში დაუხარჯავი რჩება, იგი ანდომებს თამაშს. ამგვარადვე იქცევა კატა; არ გიყურებიათ, როგორის გატაცებითა და მხიარულებით ათამაშებს ხოლმე იგი ბურთს ან ქაღალდის სორსალს? მან კარგად იცის, რომ არც პირველი და არც მეორე თაგვი არ არის, მაგრამ მას აქვს ზედმეტი ძალა, რომელიც დახარჯვას ლამობს და თამაშში ხარჯავს მას. ამგვარად, თამაში წარმოადგენს უმთავრეს სულიერ მოთხოვნილებას არა მარტო კატისა და ძაღლისას, არამედ თითქმის ყველა პირუტყვებისას. ადამიანი არის მანქანა, მისი ყოველი ორგანო მუშაობს. მუშაობის დროს ის ხარჯავს ენერგიას, რომელსაც ჩვენი სხეული იჩენს. რომელი ორგანოც უნდა აიღოთ, ყოველ მათგანს აქვს გაცილებით მეტი ენერგია, ვიდრე მისთვის საჭიროა ჩვეულებრივის მუშაობის დროს. აიღეთ, მაგალითად, ადამიანის გული. ჩვეულებრივ მუშაობის დროს, შუათანა რიცხვით, ის ოთხმოცჯერ ჰფეთქავს ერთს წამში. არა-ჩვეულებრივის მუშაობის დროს კი (ავადმყოფობის დროს)—ის ორასამდე ჰფეთქავს წამში, ე. ი. ორჯერ და მეტჯერაც უმატებს მუშაობას. ეს ზედმეტი ენერგია შეადგენს აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც შეუძლებელია სულიერი მოთხოვნილება გაჩნდეს.

მივუახლოვდეთ ფიქრით იმ ხანას, როდესაც ადამიანი მხეცურ მდგომარეობაში იყო. სანამ ის მთელს თავისს ძალღონეს თავის რჩენას ანდომებდა, შეუძლებელი იყო მას რაიმე სულიერი მოთხოვნილება გასჩენოდა. როდესაც ის გონებრივად იმდენად განვითარდა, რომ უფრო ნაკლების შრომით უკედ მოიპოვა საზრდო და ამგვარად ენერგიის ერთი ნაწილი დაუხარჯავი დარჩა, ამ დარჩენილმა ძალამ პირველად აატოკა, ააჟრჟოლა მისი ტანი, აათამაშა მისი გული და ნერვები. ეს აჟრჟოლება იყო პირველი ნასახი სულიერის მოთხოვნილებისა.

რამდენადაც უმჯობესდებოდა ცხოვრების პირობები, იმდენად უფრო ვითარდებოდა ადამიანიც. თავდაპირველად მისს სულიერ მოთხოვნილებას უთუოდ თამაში წარმოადგენდა, თამაშს შემდეგ და შემდეგ მიემატა ესტეტიური სიამოვნება მხედველობითი, შემდეგ კი სმენელობითი—მუსიკა, ეს სამი დასახელებული წყარო წარმოადგენს უმთავრეს სათავეს სულიერის მოთხოვნილებისას. მათ შემდეგ მიემატა და თანდათან უფრო ძლიერდება სააზროვნო სულიერი მოთხოვნილება. პოეზია წარმოადგენს უკანასკნელ დარგს სულიერ მოთხოვნილებისას.

ამგვარად, როგორც შემოქმედება, ისე პოეზია ორივე სააზროვნო სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენს: მწერალი შემოქმედებაში ჰპოვებს ესტეტიურ სიამოვნებას, თავისისავე შემოქმედებით იკმაყოფილებს თავის სულიერ მოთხოვნილებას; მკითხველი კი პოეზიაში ჰპოებს ესტეტიურ სიამოვნებას, პოეზიის შემწეობით იკმაყოფილებს ის თავის სულიერ მოთხოვნილებას. რატომ ჰპოვებს ერთი სულიერ სიტკბოებას შემოქმედებაში, მეორე კი პოეზიაში? რატომ იბადება ერთი პოეტად, მეორე კი უბრალო მკითხველად?—რატომ არის თოვლი თეთრი და არა შავი? რატომ არის ყინული ცივი და არა ცხელი? ყველა ამგვარ „რატომ“-ზე, ერთად-ერთი პასუხი მხოლოდ „მიტომ“ არის. ტვინის ის თვისებანი, რომლებიც შემოქმედებას ახასიათებენ, ყოველ ადამიანს აქვს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ ზემოდ, ხოლო მათ რომ შემოქმედება წარმოშობონ, საჭიროა მათი საკმაოდ ჰარმონიული განვითარება,—ამას კი უმეტესობა მოკლებულია. შემოქმედება მეტად რთული აქტია; ის მეცნიერებას ჯერ ვერ შეუსწავლია და ვერც გამოუკვლევია.

ი. გომართელი.

◆ ◆ ◆

◆ მრავალმა დამზღვევმა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ იმათ გაფიცვების დროს **მუშებისა და პატრონების დაზღვევის უფლება** მიეცეთ. ამბობენ, სამინისტრომ ამ საზოგადოების თხოვნა არ შეიწყნარაო (რ. ვ.).

◆ გზათა მინისტრმა ამიერ-კავკასიისა, ციმბირისა, შუა-აზიისა, ტაშკენტისა და პერმის რკინის გზების მოსამსახურეებს **სასტიკად აუკრძალა** ყოველგვარ ბიუროების დაარსება, კავშირების შედგენა და ერთად, ერთ პირით მოქმედება. მიზეზი ის არის, რომ ზემოხსენებულ გზებს ამ ჟამად სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (რ.).

◆ ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ოდესაში **საერო იურიდიული კურსები** დაარსდეს. ამბობენ, მინისტრმა ეს თხოვნა შეიწყნარა და მალე დამტკიცდებაო. ამისთანა კურსები მალე სხვა ქალაქებშიაც გაიხსნება. ამ კურსებზე შესვლის ნება ექნება ყველას, ვისაც კი საშუალო განათლება მიუღია — ვაჟებსაც და ქალებსაც. ამ კურსებს კერძო სასწავლებლის ხასიათი ექნება. მასწავლებლებად უნივერსიტეტის პროფესორებსა და იუსტიციის სამინისტროში მოსამსახურე პირებს მოიწვევენ. (რ. ვ.).

◆ მუდმივის გაფიცვებისა და არეულობის გამო პუტილოვის ქარხანა დიდის ხნით დაჰკეტეს. **რამოდენიმე ათასი მუშა უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩა.** თითქმის ვერც ერთი მუშა სხვა ქარხნებში სამუშაოს ვერ შოულობს, რადგან ყველა მექარხნეს პუტილოვის ქარხნის მუშებისა ისე ეშინიან, როგორც ჭირისა. ბოლოს მუშებში ნამდვილი შიმშილობა დაიწყო. საქმე იქამდის მივიდა, რომ მუშები პურის საშოვრად ძალას ხმარობენ. ამას წინად მუშების ბრბო რკინის გზის პლატფორმას დაეცა და ვაგონებიდან პური დაიტაცა. ამბობენ, თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე ათასი დამშეული მუშა შეერთდება და მოახდენენ რასმეო. ქარხანა კი მხოლოდ ღვინობისთვეში გაიღება და ისიც უკანვე მხოლოდ რჩეულებსა და ხნიერებს მიიღებენ (რ. ვ.).

◆ რიბინსკის ქალაქის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც **სახელმწიფო წყობილების შეცვლის პროექტის შემუშავება** ჰქონდა მინდობილი, შემდეგი დაადგინა: 1) რუსეთის ამ უბედურობისაგან დახსნა და მშვიდობიანობის დამყარება შეუძლიან მხოლოდ ხალხის წარმომადგენლებს, რომელნიც საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით უნდა იქმნენ არჩეულნი; 2) საერო წარმომადგენლობა მუდმივი და დამოუკიდებელი დაწესებულება უნდა იყოს; 3) საერო წარმომადგენლობას უნდა ეკუთვნოდეს საკანონმდებლო უფლება, გადამწყვეტი ხმა, ადმინისტრაციის კონტროლი, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და ბიუჯეტის დახარჯვის კონტროლი; მინისტრები საერო წარმომადგენლობის წინაშე პასუხის მგებელნი უნდა იყვნენ; 4) წესიერების დამყარება, კანონისადმი პატივისცემა და ნამდვილი საერო წარმომადგენლობა შეუძლებელია იმ დრომდის, სანამ რუსეთის ქვეშევრდომთ მოქალაქობრივი უფლებანი არ მიენიჭებათ: ხელუხლებლობა პიროვნებისა, სადგომისა და თავისუფლება სიტყვისა, კრებებისა, ბეჭდვისა და კავშირებისა (რ. ვ.).

◆ 9 ივლისს სარატოვის საპყრობილეში შემდეგი **დრამა** მოხდა: ცალკე ოთახში დამწყვდეული იყო 18 წლის ბიჭუკი, ვინმე დუდნიკოვი. წინა დღეებში დუდნიკოვმა თავი დაიმშია, მაგრამ თავისი ვერ გაიტანა. 9 ივლისს დუდნიკოვმა კარები მაგრა ჩაჰკეტა, ნავთი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. დარაჯებმა ძლივს-ძლიობით შეამტვრიეს კარები და ცოცხალ მკვდარი დუდნიკოვი საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმებს იმის გადარჩენის იმედი არა აქვთ (რ. ვ.).

◆ სევასტოპოლში ერთმა ექიმმა **თავი მოიკლა** და ბარათი დასტოვა, რომელშიაც პატიებას სთხოვდა ერთ ოჯახს უნებურ შეცდომისათვის: ექიმს ოპერაცია გაეკეთებინა ერთ ბავშვისათვის, რომელსაც ოპერაცია ვერ აეტანა და მომკვდარიყო. ექიმი მხოლოდ ვერ მიხვდა, რომ ბავშვი სხვა რამით იყო ავად და ექიმის ოპერაციისაგან გარდაიცვალა (რ.).

◆ ტირასპოლში ომში გაწვეულმა **სალდათებმა ქალაქი აიკლეს.** 24 ივლისს უდანაშაულო ხალხს სცემეს და, სხვათა შორის, მძიმედ დასჭრეს კიშინიოვის საოლქო სასამართლოს პროკურორის ცოლი. იმავ საღამოს სალდათებმა საროსკიპოები გაანადგურეს (რ. ს.).

◆ ტულის სახაზინო იარაღის ქარხნის მუშები **გაიფიცნენ.** ქარხნის ადმინისტრაციამ მეორე დღესვე დაითხოვა ყველა მუშები და ქარხანა დაკეტა (რ. ს.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** „ხარკოვსკი ლისტოკ“-ის ორი ნომერი ისე გამოვიდა, რომ სამ-სამი და ოთხ-ოთხი კალონა თეთრი ადგილია დატოვებული (რ. ს.)

◆ ამას წინად ვარშავა-ვენის რკინის გზაზე ოფიციალურ ენად პოლონური ენა შემოიღეს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მეორე დღესვე აკრძალა პოლონური ენა და ისევ რუსული შემოაღებინა. ამის გამო ამ გზის მოსამსახურეებმა განაცხადეს, დღეის იქით ჯამაგირიდან **აღარაფერს ვაძლევთ ომის სასარგებლოდაო.** მოსამსახურეებმა ის ფული, რომელიც ომისათვის მიდიოდა, პოლონურ სკოლებს შესწირეს (რ. ს.)

◆ 24 ივლისს ტომსკის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე რუსეთის ცნობილ გეოგრაფის პოტანინისა და ნაფიც ვექილის კიკინისა, რომელთაც **პოლიტიკური დანაშაული** ბრალდებათ. (რ. ს.).

◆ გადაწყვეტილია—**რევიზია მოახდინონ** ყველა იმ საქმისა, რომელიც, ასე თუ ისე, ილიუს კონცესიებს შეეხება. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა კომიტეტის წევრად ნამყოფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი ჩერევანსკი. (რ.).

◆ ხარკოვის ქუჩებში, ტრაქტირებში და ყველგან არიგებენ **პროკლამაციებს** შემდეგის სათაურით: „ძირს ურიები!“ პროკლამაცია ხალხს ებრაელების ამოსაჟლეტად იწვევს. (რ. ს.).

◆ **მუშების მდგომარეობა.** ამას წინად დაიკეტა სორმოვოს ქარხანა და 14,000 მუშა უსაქმოდ დარჩა (ოჯახებით—42,000 კაცი). პუტილოვის ქარხნის დაკეტვის გამო უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩა 13,000 მუშა (ოჯახებით—40,000 კაცი). ივანოვო-ვოზნესენსკში მესამე თვეა 35,000 მუშა არ მუშაობს (ოჯახებით 100,000 კაცზე მეტი); დღეში მექარხნეებს მხოლოდ ადმინისტრაცია, რომელიც არაფერს აკეთებს, 30,000 მანეთი უჯდებათ. მუშებს დღეში 20,000 მანათად ეკარგებათ. მექარხნეების ზარალი ამჟამად 2 მილიონ მანათზე მეტს შეადგენს, მუშებს 1 მილიონი მანეთი სამუშაო ქირა დაეკარგათ. მექარხნეები სულ მოსკოვში გაიხვეტნენ და მუშებთან მოლაპარაკებას ერიდებიან. ფინანსთა მინისტრმა მექარხნეებს რამდენჯერმე სთხოვა, მოელაპარაკეთ მუშებს, დაუთმეთ რამე და მუშაობა დაიწყეთო, მაგრამ მექარხნეებმა უარი სთქვეს და განაცხადეს, თუ მუშაობა ძველის პირობებით დაიწყება და მუშები ხელწერილს მოგვცემენ, რომ აღარავითარ მოთხოვნილებას არ წარმოგვიდგენენ, ქარხნებს გავხსნით, თუ არა და — დაკეტილი იყოსო (ს. ო.).

◆ 1897 წელს მომხდარი აღწერა რუსეთისა მხოლოდ ახლა დაიბეჭდა. 1897 წელს რუსეთში ყოფილა 126,586,525 მცხოვრები (ფინლიანდელების გარდა). სარწმუნოებით მცხოვრებნი ასე განიყოფებიან: მართლ-მადიდებელნი და თანამორწმუნენი 87,123,604, რაიცა შეადგენს ყველა მცხოვრებთა 69,4%; სტაროობრიადცები და სექტანტები 2,204,596 (1,8%); კათოლიკენი 11,467,994 (9,1%); მაჰმადიანები 13,906,972 (11,1%); ებრაელები 5,215,805 (4,2%); ლუტერანები 3,572,653 (2,8%); ენის მხრით რუსეთის მცხოვრებნი 25 მთავარ ჯგუფად გაიყოფიან: ველიკოროსები შეადგენენ მცხოვრებთა 44,3%; მალოროსები 17,8%; ბელორუსები 4,7%. სულ რუსები შეადგენენ 66,8%; პოლონელები 6,3%; ლიტველები 1,0%; ჟმუდელები 0,4 (ჟმუდელები და ლიტველები იგივე პოლონელები არიან); ლატიშელები 1,1%; მოლდავანელები და რუმინელები 1,4%; ებრაელები 4,0%; ქართველები 0,6%; სომხები 0,9%; კავკასიელი მთიულები 0,9% ესტონელები 0,8%; მორდველები 0,8%; დანარჩენი ფინები 1,2%; თათრები 3%; ბაშკირები 1,1%; ჩუვაშები 0,7%; ყირგიზები 3,2%; სართები 0,8%; ოსმალო-თათრები 2,1%; მონგოლ-ბურიატები 0,4%; დანარჩენი ჩრდილოელები 0,1%; უკიდურეს აღმოსავლეთის განათლებული ერნი 1% (ს. ო.).

კუნძული კრიტოსი და მისი მდგომარეობა

კარგა ხანია, რაც კრიტოსზე ხალხი დრტვინავს, ჰღელავს, იბრძვის ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ და ყველა თანამემამულეს საბრძოლველად იწვევს. კრიტოსს დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრება სურს და მას კი სულს ჰხუთავენ, სათავეშივე უნდათ ჩაუდრჩონ და ჩაუფერფლონ ცხოველ-მყოფელი მისწრაფება. ევროპის სახელმწიფოებიც ცეცხლზე ნავთს უსხამენ და იარაღის დაყრას ურჩევენ. მაგრამ კრიტოსელთა მარჯვე, მოხერხებული ბელადები ჰყავთ, რომლებიც თავ-გამოდებით ესარჩლებიან და წინ უძღვიან თავის თანამემამულეთა ინტერესებს.

ამას წინად (12 ივლისს) ევროპის სახელმწიფოთა ელჩები ეწვივნენ მათ სოფ. ბერნესის მონასტერში და თავისი ნოტა გადასცეს. ნოტა ურჩევს კრიტოსელებს, დაწყნარდნენ და სულთანის მორჩილებაში დალიონ სული.

ბრძენი და გულ-ქვა მზრუნველნი!.. ორპირი და ფლიდი, შეუბრალებელი და დაუნდობელი ელჩები!..

ვითომ ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობენ და ევროპის ჯარები კი შეჰყავთ კრიტოსის კუნძულზე და ქალაქებს ზარბაზნებს უშენენ!..

თუ კი მართლა ხალხისთვის გული შესტკივათ, ისე დააყენონ საქმე, რომ ხალხმა შესძლოს თავის ცხოვრების მოწყობა თავის სურვილისა და გულისთქმისამებრ!.. ნოტაში კი ევროპის სახელმწიფოები ცბიერად ჰპირდებიან კრიტოსელებს, რომ „ისეთს ფართო რეფორმებს შემოგაღებინებთ, რომელიც პროგრესისათვის ხელის შემწყო იყოსო (?!)“.

ავიწყდებათ, რომ თავისუფლების მებრძოლი გმირები, რომელნიც, აგერ ასი წელიწადია, განუწყვეტლივ სისხლს ღვრიან და თავის სამშობლოს მებრძოლთა სისხლით აპოხიერებენ, ასე ადვილად ვერ მოსტყუვდებიან, ასე მალე ვერ აახვევენ თვალებს და ელჩების ცბიერობას არ აჰყვებიან... აკი არც აჰყვნენ და, როდესაც ელჩები გაისტუმრეს, კრიტოსელთა მოთავეებმა, მანოსმა და ვენიზელოსმა, მიმართეს თავის თანამემამულეთ, აუხსნეს ყველაფერი და მოუწოდეს ბრძოლის განსაგრძობად...

„სამხედრო წესებით გვაშინებენო—სთქვა, სხვათა შორის, მანოსმა:—რა არის სამხედრო წესი?!. ჯერ ერთი, ჩვენ სულაც არ გვაშინებს იგი და ჩვენს გადაწყვეტილებას ვერ შეგვაცვლევინებს... მეორეც—სამხედრო წესი ხომ ქალაქს ვერ გასცდება... ჩვენ კი თავისუფალ მთებში ვართ და იქ ვინავარდებთ... თუნდაც მართლა სამხედრო წესიც შემოიღონ, არსებითად ეს მხოლოდ ქალაქებზე დარჩება... ცხოვრებაში კი ფეხს ვერ მოიკიდებს...“

„გარდა ამისა—დაურთო სიტყვა ვენიზელოსმა:—ამ თხუთმეტის დღის მერე, ვისაც იარაღი ამოუჩნდებათ, დაგატუსაღებენ და პასუხის გებაში მიგვცემენო... კრიტოსელებმა სიტყვა არ დაათავებინეს და ერთხმად შესძახეს:

— ზიტო!.. შორს ჩვენგან მტარვალი!.. იარაღს ხელი, ძმებო!..

ამის შემდეგ ყველანი მშვიდობიანად დაიშალნენ...

სულთანი კი კრიტოსელთა სამართლიანს მოთხოვნილებას და მუქარას აინუნშიაც არ იგდებს!.. რა უშავს!.. განათლებულ ევროპის ზარბაზნები მის გახრწნილს სამეფოზე სდარაჯობენ და მის მოსისხლეობასა და ხალხის უფლებათა ფეხქვეშ თელვას ხელს აფარებენ...

სამშობლოს დასაცველად, ადამიანურ ღირსების აღსადგენად და მოქალაქობრივ ცხოვრების დასამყარებლად კი კრიტოსელთა და მაკედონელთა სისხლის რუები სჩქეფს განათლებულ სახელმწიფოთა თვალ წინ... ისინი კი დახავსებულ ოსმალეთის სულთანს თავზე ხელს უსვამენ და აქეზებენ!..

მაგრამ ერთხელ დაწყებული ცხოველ მყოფელი მოძრაობა, არც ისე ადვილი ჩასაქრობია...

კორესპონდენცია

ქ. გორი, 28 ივლისი. ამას წინად აქ გარდაიცვალა ანდრია ოქროპირიძე, რომლის შვილმაც ქელეხი არ გადუხადა მიცვალებულს ჩვეულებისამებრ და ის ფული, სახელდობრ ორი თუმანი, რომელიც ქელეხში დაეხარჯებოდა, შესწირა ქ. გორის მომავალ ვაჟთა გიმნაზიას. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ, ეჭვს გარეშეა, სხვებიც მიჰბაძავენ მას და ეს მავნე ჩვეულება, რომლითაც მიცვალებულის პატრონი ორგზის მწუხარებაში ვარდება, ნელ-ნელა მოისპობა.

ზოგმა ასე ჩინებულად შეიგნო ცხოვრება, მაგრამ ზოგი ზნე-დაცემული და სულით გაღატაკებული კი ჯერ გადაგვარდა და მღვრიე წყალში თევზებს იჭერს. ისინი სარგებლობენ ხალხის დიდებულ მოძრაობის წმინდა სახელით და, ვისაც კი ცოტა რამე შეაგულებენ, წერილებს უგზავნიან, ვითომდა კომიტეტი სთხოვს მათ ფულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცეცხლით და მახვილით იმუქრებიან. ზოგი გამოუცდელი და ცოტა მშიშარა ადამიანი, რასაკვირველია, სტყუვდება ამითი და ფულს აძლევს. ფული იქით იყოს, ზოგნი კომიტეტის სახელით სამიკიტნოებში ღვინოსაც კი თხოულობენ! სწორედ გასაკვირი და დასაგმობია ყველასაგან ამგვარ ვაჟბატონების საქციელი...

ამას წინად დაჭრილი ცხინვალის ბოქაული ამტუნი უკვე მორჩენილა და, როგორც ამბობენ, ისევ ძველ თანამდებობას უნდა დაუბრუნდეს.

გ. ნამორაძე.

ქ. ოზურგეთი, 26 ივლისი. ამ დღეებში საქალაქო, სკოლის ინსპექტორმა, მთავრობის ბრძანებით ჩამოიარა სოფლები და ხალხს შეეკითხა გსურთ თუ არა ამ სამოსწავლო წლიდან სწავლა დაიწყოთო. ამასთან აცნობა, რომ სწავლის საქმე სულ სხვაფრივ იქნება მოწყობილი; ქართულ ენის სწავლება სავალდებულო იქნება და ამასთან სხვა საუმჯობესო ცვლილებასაც შევიტანთო. სწავლის დაწყებაზე ხალხმა ცივი უარი უთხრა და განუცხადა: „სანამ ჯერ ის არ მოეწყობა, ვინც ამ სკოლებს აწყობს, ე. ი. სანამ არ იქმნება მოწვეული დამფუძნებელი კრება, მანამ ჩვენ არავითარი სასწავლებელი არა გვსურს და ტყუილად თავს ნუ იწუხებთო“...

ჭ.

ქ. ოზურგეთი. შაბათს, 23 ივლისს, ოზურგეთში მოასვენეს ნოვოროსიისკში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლნი,—კვაჭაძე და ძნელაძე.

ნატანებში მიცვალებულთ აუარებელი ხალხი დახვდა. მარსელიეზას სიმღერით კუბო ქალაქში გაატარეს და სოფელ ბახვში გაასვენეს. ოზურგეთიდან ბახვამდე ურიცხვის გვირგვინებით კუბო ხელით მიჰქონდათ. მარსელიეზას მღერა სოფელში მისვლამდე არ შეწყვეტილა. გზაზე, აქა-იქ ორატორებმა ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვეს. მოასვენეს კუბო სოფელ ბახვში. ხალხმა ერთი-ორად იმატა. ახლო-მახლო სოფლებიდან ხალხი სიმღერით ეგებებოდა.

ეკლესიაში დასვენებულ კუბოსთან მღვდლები დიდხანს არ მიუშვეს.

ორშაბათს, 25 ივლისს, ოზურგეთში მოასვენეს გარდაცვალებულ მბეჭდავის ილიკო ბერსენაძის გვამი.

მიცვალებული რვა წელს ტფილისში მუშაობდა სხვადასხვა სტამბებში. მერე ბათუმს წამოვიდა. აქ, ერთ-ერთ სტამბაში მარჯვენა ხელის რამდენიმე თითი დაუშავდა. მიჰმართა ვიღაც მატყუარა ცრუ-ექიმს და მისმა წამლობამ კი იგი სიცოცხლეს გამოასალმა.

მთელი ოზურგეთი ამ მიცვალებულსაც ნატანებში შეეგება და მარსელიეზას სიმღერით ქალაქში გაატარა. თითო-ოროლა პოლიციელი დუქნების წინ ქუდ-მოხდილი იდგა და მომღერალ ხალხს გულ გრილად შესცქეროდა. ცხედარი სოფელ მაკვანეთში გაასვენეს. გზა გზა რამდენიმე შესაფერი სიტყვა წარმოითქვა.

მ. მაკ—თელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დაუთმოთ ადგილი ამ ჩემს წერილს

სწორედ ოთხი თვეა, რაც გორის მაზრაში არსებობს სათავად-აზნაურო მილიცია... რა მიზნით დაარსდა ეს მილიცია—ბევრისათვის აქამდის საიდუმლო იყო. ზოგნი კარგის თვალით უყურებდნენ ამ ორგანიზაციას—ეგონათ მას სასარგებლო რამე საზოგადო მიზანი ჰქონდა სახეში; ზოგი კი დაიმედებულიც იყო, რომ მას ვითომ განზრახვა ჰქონდა ცოტაოდენი შეღავათი მიეცა გლეხებისათვის. მაგრამ აღსრულდა ის, რაც ყველა შორს მჭვრეტელისათვის მოსალოდნელი იყო. უკანასკნელ დროს მომხდარმა ამბებმა აშკარად დაგვანახვა, თუ რა გზას ადგანან მილიციის წევრები და რას აპირობენ შემდგომისათვის...

რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაიცვას თავისი საკუთრება, მაგრამ რა გზით?... ნუ თუ ინტელიგენტების, სტუდენტებისა და სხვა უდანაშაულო პირების დევნითა და მოსპობით, როგორც კეთილშობილი(?!) მილიციონერები ჰფიქრობენ?!... საშინელ საბნელეში იმყოფებიან ეს საბრალონი... ჰლამობენ ამ ნაირად შეაჩერონ ახლანდელი პროგრესიული მოძრაობა ჩვენში...

სირცხვილი ასეთ ორგანიზაციას, რომელმაც თავის უკუღმართ და საზიზღარ მოქმედებით ჩირქი მოსცხო თავისს წევრებს და სამუდამოდ მათ გაუტეხა სახელი მთელ განათლებულსა და შეგნებულ ქვეყნიერობის წინაშე.

აქამდის კიდევ ეგონებოდა კაცს, რომ ამ მრავალთინების ჩამდენნი მილიციის მხოლოდ ზოგიერთნი წევრნი იყვნენ, რომელნიც თავის ჭკუით მოქმედებდნენ, მაგრამ ახლა კი ყველა დარწმუნდა, რომ ამგვარი მოქმედება მთელის მილიციისა, ამ სწორედ „შავი რაზმის“ საერთო მისწრაფებად გამხდარა.

დიაღ! ეს სახელი „შავი რაზმი“ სწორედ ეკუთვნის ამ ორგანიზაციას. მამ, მისი წევრები თავის ქცევით რით განსხვავდებიან იმ გამხეცებულ „ხულიგანებისაგან“, რომელთაც ასახელეს რუსეთი ამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს და რომელნიც არავის ეგონა, რომ ჩვენს საქართველოშიაც აღმოჩნდებოდნენ.

მე აღარ ავწერ ჩემზე დაცემის ამბავს. ეს გაზეთებმა საკმაოდ გამოარკვიეს... ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემს ქურდულად თავს-დამსხმელებს, რომელნიც რიცხვით ოთხი იყვნენ და არა სამხა, მე სრულიად არ ვიცნობდი. მათი ვინაობა, ისიც სამის პირისა, გამოირკვა მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი მოგროვდა და მის დანახვაზე „რაინდებმა“ ფიცხლავ მოჰკურცხლეს... ეს კია, რომ მათი განსხვავებული ტანისამოსი ცხადად და უტყუარად მოწმობდა, რომ „უშიშარი გმირები“ ეკუთვნოდნენ უკვე ცნობილს და სახელოვან ორგანიზაციას.

მათი ვინაობა არც საჭიროა ჩემთვის. მეფიცნებს მაინც არ მივსცემ პასუხისგებაში, რადგანაც, როგორც საბნელეში მყოფნი, პასუხის მგებელ დამნაშავეებად არ მიმაჩნია... დამნაშავენი სულ სხვები არიან... მათი მეთაურნი და თავად-აზნაურობის სათავეში მყოფნი „ვითომ მოღვაწენი“, რომელთაც თავიანთ უგუნურ რჩევით ამ სამარცხვინო ორგანიზაციის ხელი შეუწყეს და მათი სახიფათო გზაზე დაასვენეს...

სირცხვილი, დიდი სირცხვილი მათ!... დღეს გამოღვიძებული საზოგადოება უკვე ზიზღს უთვლის მათ საქციელს და მეც სრულის თანხმობით ვუერთდები მას.

დიმიტრი დიასამიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 ივლისი.

ოდესა. პორტ-არტურიდან მოვიდა ეგერმეისტერი ბალაშევი, რომელმაც სთქვა: ცუსიმას ბრძოლამდე იაპონელნი პორტ-არტურს ძლიერ ნელა ამაგრებდნენ, მაგრამ ცუსიმასთან მათის გამარჯვების შემდეგ, დიდის სიბეჯითით განაგრძობენ ციხის გამაგრებასო.

პორტსმუტი, 29 ივლისი (რეიტერი). როგორც გამოირკვა, რუსეთის რწმუნებულნი იმ აზრისანი არიან, რომ იაპონელთაგან წარმოდგენილი ზავის მოთხოვნილებანი: რუსეთმა ომის ხარჯები უნდა უზღოსო იაპონიას, ტერიტორია დაუთმოს და შორეულ აღმოსავლეთში თავისი საზღვაო ძალა, რაც შეიძლება, შეასუსტოსო,—დიაღაც არ შეიწყნარებაო. ეჭვი არაა, ამ მოთხოვნილებაზე რუსები უარს ეტყვიან, მაგრამ ამ გარემოებით მაინც არ შესწყდება მოლაპარაკება. ჰფიქრობენ, რუსეთის რწმუნებულთა პასუხზე იაპონიის რწმუნებულთა პასუხი ნამდვილი ულტიმატუმი იქნებაო. ამ საბოლოო პასუხში ჩამოთვლილი იქნება იაპონიის სულ უკანასკნელი, გადაწყვეტილი მოთხოვნილებანი. თუმცა ჯერ დაწვრილებით არ გამოუანგარიშნიათ ომის ხარჯები, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ამ ხარჯების ასანაზღაურებლად თხოულობენ 6 მილიარდსა და 500 მილიონ (?) დოლლარს (დოლლარი უდრის 2 მანათს,—სულ ეს ჯამი თითქმის 13 მილიარდ მანათს უდრის)ა რუსები ხვალ გადასცემენ კომურას წერილობით პასუხს, დილის 9 ს. 30 წ., რაიცა ვიტტემ უკვე აუწყა კომურას ოფიციალურად. დანიშნულ დროზე სხდომისთვის მოიწვიეს იაპონელები.

პორტსმუტი, 29 ივლისი (რეიტერი) რუსებმა სხდომაზე განაცხადეს, იაპონიის მოთხოვნილებანი გაზეთებში გამოვაქვეყნებინოთო. ამან ძლიერ გააცხარა იაპონიის რწმუნებულნი. ერთმა მათგანმა მწარე ხუმრობით, სარკასტიულად განაცხადა,—მე მგონია, განზრახული იყო, რომ ზავის პირობებს საზღვაო არსენალის სადგომში განიხილავდით, თქვენ კი, თურმე, გაზეთების ფურცლებზე აპირებთ მისს განხილვასო.

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. „ნიუ-იორკ ჰერალდის“ აზრით, ზავის პირობები ისეთია, რომ, თუ რუსებმა უკლებლივ შეიწყნარეს, იაპონია მთლად გაბატონდება და ხელში ჩაიგდებს შორეულ-აღმოსავლეთში სამხედრო საქმეებსა და აღებ-მიცემობასაო. იაპონიას, როგორც ეტყობა, განზრახვა აქვს განაგოს არამც თუ მარტო მანჯურია და კორეა, არამედ ჩინეთიც.

ხარბინი. საინტენდანტო უწყება რამდენსამე ალაგას დიდრონ საწყობების შენობას აგებს.

ტოკიო, 29 ივლისი. აქ ჯერაც არ შეწყვეტილა სამხედრო და საზღვაო ჯარების მზადება. ბრძოლის ველზე ყოველდღე ახალ-ახალი ჯარი იგზავნება.

სევასტოპოლი, 29 ივლისი. დიდის ამბით დაასაფლავეს ჯავშოსნის „კნიაზ პოტემკინ“-ის უფროსის, აჯანყებულ მეზღვაურებისაგან მოკლულის გოლიკოვის ცხედარი.

შანხაი, 29 ივლისი. გუშინ ელჩების კრება მოხდა. კრებამ ბოიკოტის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებაზე ითათბირა, რადგან ეს ბოიკოტი მთელს გარეშე აღებ-მიცემობას აფერხებს და აფოლებსო. მანჯაიში კრებამ დაადგინა, მიმართოს პეკინში მყოფ ყველა ელჩებს, რომ დაეხმარნენ და ბოიკოტზე რამე გავლენა იქონიონო.

პეტერბურგი, 29 ივლისი. კრება შესდგა თვით ხელმწიფის თავმჯდომარეობით და, 18 თებერვლის რესკრიპტის თანახმად, 19, 21, 25 და 26 ივლისს მომხდარ კრებების-მიერ შემუშავებული ხალხის წარმომადგენელთა არჩევნების წეს-რიგის კანონ-პროექტი განიხილა. ხელმწიფემ ბრძანა, რომ მისის შენიშვნების თანახმად შესწორებული კანონ-პროექტი წარუდგინონ დასამტკიცებლად.

სოფია, 29 ივლისი. პორტამ ბოლგარიის მთავრობას ნოტა გადასცა, რომლითაც თხოულობს, რომ ბოლგარიაში მცხოვრებ ზოგიერთ სომხებზე პოლიციური მეთვალყურეობა გასწიოს, ზოგი კი შეიპყრას და ოსმალეთს ხელში მისცეს, რადგან ოსმალეთის მთავრობამ იცის, რომ აღნიშნული სომხები ილდიზს მომხდარ აფეთქების თანამზრახნი არიანო.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით, განსაკუთრებულმა საბჭომ საჭიროდ დაინახა უმართებულეს სენატში საზოგადო მოღვაწეთაც მიიღონ მონაწილეობა და ამიტომ სენატორებად ინიშნებიან არა მარტო წარჩინებული მოხელენი, არამედ გუბერნიის მარშლები, მოურავები, ორთავ სატახტო ქალაქების მოურავები და მეცნიერნი, რომელთაც უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი აქვთ მინიჭებული.

ოდესა, 30 ივლისი. ვიღაც ახალგაზრდა კაცმა შუაგულ ქალაქში ეტლი დაიქირავა და უთხრა,—ეს კალათი რკინის გზის სადგურზე წამიღეო. პოლიციელმა ცოტა ხანს უცადა სადგურზე და მერე კალათა პოლიციაში წაიღო. კალათაში აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალის უსულო გვამი, რომელიც ცხვირსახოცით დაეხრჩოთ. მისი ვინაობა არ იციან. მკვლელს დაეძებენ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—9)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.